სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 25 ივლისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).
ტელეფონი 16—62.

№ 155 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 155

ნუგეშ დაკარგულნი, მუდამ მგლოვიარე მშობლები: ქიფო და ნესტორ, ბებია სალომე, დები: ფატუშა, ნუცა, ლიზიკო და ლოლია, ძმები: დათიკო, მიხაკო და ილია, რძლები: ვისილა, პლატონიდა და ოლია, ძმის წულები: სოლომონ, ნესტორ, ვალერიან, ნარგისა და ქეთო ელიაძეები—მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 ივლისს, შაბათს, ქ. ოზურგეთში ს. ექადიის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ოჯახის სიამაყისა და მშვენების, უდროვოთ დაღუპულის შტაბს კაპიტანის

შალიკო ელიაძის

მოსახსენებლათ, რომელიც ახალ ათონში ბალშევიკთა ბრბოს მიერ გულ განგმირული მამაცურათ დაეცა. (2—1)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია და საოლქო კომიტეტი აუწყებს ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, 28 ივლისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის

ვლადიმერ გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. (4—1)

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი ბიძა ალექსანდრე და ბიცოლა მარია, ბიძისშვილები აგრაფინა, ლუდმილა, ოლია, თამარა, იოსები და ვასილი ფანცულაები უღრმესი მწუხარებით მოცულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგულისა უძვირფასესი ერთად ერთი დის შვილისა მეორე მულის შვილისა და მესამე მამიდაშვილისა ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტი

ვალერიან (ვალიკო) სალუქვაძისა

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 25 ამა თვეს საღამოს 5 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან პაცოვის ქუჩა ადგილობრივ სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღეს საღ 7 ს. (1--1)

მწუხარებისაგან გულდათუთქულნი ბიძა ვანო და ბიცოლა ლიდა (იგივე ანასტასია) ბიძის შვილები ანგელინა, ჟორჟე და შოთა ფანცულაიები უღრმესი მწუხარებით მოცულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგულისა უძვირფასესი ერთად ერთი დისშვილისა, მეორე მულის შვილისა და მესამე მამიდაშვილის ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტი

ვალერიან (ვალიკო) სალუქვაძისა

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 25 ამა თვეს საღამოს 5 საათზე. ცხედარს გადმოასვენებენ საკუთარ სახლიდან, პაცოვის ქუჩა ადგილობრივ სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. (1—1)

1918 წ. 25 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით

„საქართველოს რესპუბლიკა“

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით, რედაქციის და კანტორის მისამართი: ქ. თფილისი, ბარონის ქუჩა № 6.
(3—2) რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

თავისუფალი თეატრი, სახელოსნო კლუბისა, მიხეილის ქ. № 66, დღეს 25 ივლის

მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი გამართავს სახალხო კონცერტს

დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში. ბილეთები იყიდება იქვე კასაში.

განცხადება

თანახმად სახალხო გვარდიის შტაბის დადგენილებისა აკრძალულია უნებართვოთ იარაღის ტარება და შენახვა. იმათ, ვისაც სურთ იარაღის ტარება ან შენახვა გამოეცხადონ უნდა გვარდიის შტაბში, ჩაეწერონ სარეგისტრაციო წიგნში და მიიღონ შესაფერისი მოწმობა. დღიდან ამ განცხადების 3 დღის განმავლობაში ვისაც აღმოაჩნდება უნებართოთ რაიმე იარაღი მათ ასეთი ჩამოერთმევათ და იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი როგორც სახელმწიფო იარაღის მიმთვისებელნი.

სამტრედიის სახალხო გვარდიის შტაბი.

20 ივლისი 1918 წელი. ქალ. სამტრედია. (1—1)

ლტოლვილები და დემოკრატია

მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ჩვენს დემოკრატიას. აუტანელი ფინანსიური კრიზისი, უმუშევრობის საშინელი აჩრდილი, სახელმწიფოს უფულობა და სხვა მრავალი წვრილ-დაწვრილი საქმეები მთელი თავის სიმძიმით მას აწევს თავზე.

მიუხედავათ ამისა არის მთელი რიგი საზოგადოებრივი საქმეები, რომელშიაც მან აუცილებლათ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მისი აქტივობა არა თუ მისი ზნეობრივი მოვალეობაა, არამედ—დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისაა.

ჩვენ ვამბობთ სომეხ ლტოლვილების დახმარებაზე.

მუშათა კლასს აქვს ამ მხრით თავისი ინტერესები, თავის შეხედულება და აზრი. ლტოლვილები არიან მდიდრებიც, ისინი უკვე შეეხიზნენ ქალაქებს ან საგარაკო ადგილებს და იქ თბილათ მოიკალათეს, მათ ვერც კი შეამჩნევს, რომ ლტოლვილია. იგი კვლავ თავის ხელობას ეწევა და სპეკულიაციას აწარმოებს, რომ ლტოლვით დანაკლისი ქონება და უვნებლივ შეივსოს. ამაზე არას ვამბობთ. მათდამი მხოლოდ ბრძოლა უნდა და წინააღმდეგობის გაწევა, რომ საერთო ეკონომიურ ანარქიას კიდევ უფრო არ აუარესებდენ, მღვრიე წყალს კიდევ უარესად არ ამღვრევდენ. მაგრამ არიან ლტოლვილები მეორე კატეგორიის, ღარიბი გლეხები და მუშები. ესენი ულუკმაპუროთ დარჩენილან, თავის ქონება რაც გააჩნდათ, მტერმა წაართვა, ან გზაში შემოეხარჯათ. შიმშილობამ გააყიდვინა მათ უკანასკნელი პერანგი. და დღეს იგინი ღვთის ანაბრათ სხედან.

ასეთია ლტოლვილები სომხეთიდან, ადერბეიჯანიდან, მესხეთიდან და ჯავახეთიდან. არიან მათში ქართველები, უმცირესობა და სომხები—უდიდესი ნაწილი.

ყველა ამათ ეჭირვება დემოკრატიის ყურადღება.

მართალია ჩვენ გვყავს მთავრობა, რომელიც დემოკრატიის ინტერესების გამომხატველია, რომელიც ჩვენს კლასობრივ თვალსაზრისზე დგას. მაგრამ მთავრობას სხვაც აუარებელი საქმეები აწევს კისერზე, მთავრობა დატვირთულია მეტათ მძიმე მოვალეობით. მან უნდა ითავოს აგება ახალი რესპუბლიკის, აასრულოს ეს უჩვეულო ჩვენთვის საქმე. ეს კი ნთქავს მთელ მის ენერგიას, ხაზინის ყველა საშუალებებს.

გარშემო კი შემოგვსევიან ყორნებივით მთელი ქვეყნის შოვინისტები, თათრების, სომხების, რუსების და სხვა ნაციონალისტები და ამ გაჭირვებულთა ცრემლებზე განგაშს სტეხენ საქართველოს დემოკრატიულ წყობილების წინააღმდეგ.

ყველა ეს შოვინისტები თავის ჯიბის მაგიერ სხვის ჯიბეს შემცქერალთ ხდიან ამ დატანჯულ ხალხს და აძულებენ იმათ, ვის ქვეყანაშიაც ეს გადმოხვეწილები შეფარებულან.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკა ერთათ-ერთი კუთხეა, სადაც ლტოლვილებს შეუძლია ამოსუნთქვის უფლება მაინც მოიპოვოს, სადაც მათ მდევარი ვერ მოსწვდება და ძარცვა აწიოკებას ვერ დაუწყებს.

მართალია ჩვენს სახელმწიფოს არ შეუძლია მათი დახმარება, არ შეუძლია, რადგან თვითონ უგროშ კაპეიკოთ არის დარჩენილი. მაგრამ ეს შეუძლია ხალხს, მასსას, ყველას, ვისაც გული შესტკივა ხალხის გასაჭირზე.

ქალაქის თვითმართველობამ მიმართა ქალაქის მცხოვრებთ დახმარებისათვის.

ჩვენ გვინდა მუშებს მივუთითოთ მათ მოვალეობაზე. დემოკრატია ვალდებულია თავის მოძმეებს ხელი გაუწოდონ.

ჩვენ ვიცით, რომ მუშათა გროშები კუჭს ვერ გაუძლობს დამშეულ ლტოლვილებს. ჩვენ ვიცით, რომ მუშათა მდგომარეობა ჩვენში ისედაც არ არის სახარბიელო. მაგრამ საჭიროა დემოკრატიის ხმა ამ საქმეში. საჭიროა სწორეთ ის მზრუნველობის ხელი, რომელიც მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია გამოიჩინოს.

შოვინისტებმა მოსწამლეს ატმოსფერა, ბურჟუაზია ცდილობს მუშა მუშას მიუსიოს გაჭირვების დღეებში დემოკრატია, სოციალისტების ხელმძღვანელობით ვალდებულია თავის ჩარევით ამ ბნელი მუშაობის შედეგი გააბათილოს და სომხის დატყუებულ ხალხს დემოკრატიის ნამდვილი სახე აჩვენოს.

ჩვენ მოვუწოდებთ პროფესიონალურ კავშირებს, პარტიულ მუშათა ორგანიზაციებს და რევოლიუციურ პროლეტარულ დაწესებულებებს თავის მხრივ მიიღონ ზომები ლტოლვილთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მონაწილე გახდენ მათთვის ფულის შეგროვებისა მუშათა წრეებში, გასწიონ შესაფერი აგიტაცია ხალხში, მოაწყონ სპეციალური ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი, დაათვალიერონ ყველგან მათი ბინები და საცხოვრებელი ადგილები, მიიღონ და შეიმუშავონ საჭირო ზომები, რომელსაც ადგილი და მდგომარეობა მოითხოვს.

ხელი შეუწყონ მათ წასვლას, ვინც წასასვლელია, მოუწყონ აქ რაიმე საქმე და თავის სარჩენი იმათ, ვინც აქ დარჩენას ირჩევს.

გლეხს საგლეხო სამუშაოზე მიუჩინონ ადგილი, მუშას მუშისაზე და ასე ყველას საშუალება მისცენ საქმით ცხოვრების ფერხულში ჩაბმისა.

დემოკრატია ამით საუკეთესო მლალადებელი გამოვა ყველა იმ ბნელი შოვინისტური ძალების წინააღმდეგ, რომელნიც მუშათა და ერთა გათიშვას ემსახურებიან.

პროლეტარული სოლიდარობის პრინციპი მუშებისაგან გატარებული თავის ცხოველ მყოფელ მაჩვენებელ ძალას გამოიჩენს მიუხედავათ ნივთიერი დახმარების სიმცირისა.

და აი ეს არის ერთი უდიდესი საზრუნავი საგანი დღეს დემოკრატიისთვის.

პრესა

გაზეთ „საქართველო“-ში ბ-ნი რაე ეხება ნაციონალიზაციის საკითხს და მოითხოვს, პროფესიონალურ კავშირების გაქართულებას.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ უკვე გამოვსთქვით ჩვენი აზრი. ჩვენ აშკარათ დავძრახეთ ისინი, რომელნიც ცდილობენ კავშირებში რუსული ენის გაბატონებას; მაგრამ აღვნიშნეთ ისიც, თუ რა სახიფათო და დამღუპველია კავშირების ნაციონალიზაცია. ჩვენ ვთქვით: საჭიროა ყველა ერის მუშების საერთო კავშირში დარაზმვა და ერთი მებრძოლ სხეულის შექმნა, რათა საერთო ძალით იქნას წარმოებული ეკონომიური ბრძოლა; ხოლო რაც შეეხება საქმის წარმოებას გასაგებ ენაზე, ეს კავშირის შინაური საქმეა და ადვილათ მოეწყობა ეროვნულ სექციებათ დაყოფვით და სხვა მსგავს ზომების შემწეობით...

ყველა რიგიანი მწერალი, ვალდებულია, ეს ჩვენი მოსაზრება დაარღვიოს.

ასე არ იქცევა გაზეთი „საქართველო“, რადგან მას აინტერესებს არა მუშათა საქმეები, არამედ სოციალ-დემოკრატიის მეთაურებისათვის სახელის გატეხა. ამისთვის მიმართავს ის დემაგოგიას და ტყუილებს. ის სწერს:

„ჩვენი სოციალდემოკრატია ყოველთვის უკლავდა ხალხს საღს ინსტინქტს სამშობლოს სიყვარულისას, ინსტინქტს თავდაცვისას დამჩაგვრელებისგან და დღესაც, როცა საქართველო დამოუკიდებელია, როცა ქვეყანა თხოულობს, მოხელეების კავშირი ლამის აჯანყების გზაზე შედგენ და საპროფესიო კავშირები მუშებისა მოითხოვენ გაქართულებას, „ერთობა“ გაავეებული ებრძვის და ინტერნაციონალის სახელით ისევ რუსიფიკატორულ პოლიტიკას აწარმოებს“.

ასეთია „საქართველოს“ უშიშარი რაინდების უტიფარი ცილისწამება. აბა დაგვისახელონ, როდის იყო, რომ „ერთობა“ რუსიფიკატორულ პოლიტიკას იცავდა? „საქართველო“ კავშირებსაც სწამებს ცილს: საპროფესიო კავშირები გაქართულებას მოითხოვსო. როდის იყო, რომ კავშირებმა გაქართულება მოითხოვეს? ჩვენ ვაცხადებთ, რომ კავშირებს ასეთი რამ არ მოუთხოვიათ.

მაშ რათ სტყუის „საქართველო“? მხოლოდ იმიტომ, რომ გამოაცხადოს: „ჩვენი სრული თანაგრძნობა და სიმპატია ქართველ მუშების მხარეზეა“-ო.

ამიერიდან გვეცოდინება, თუ რაში გამოიხატება „საქართველოს“ სიმპატია: ეს არის თურმე ცილის წამება და დემაგოგია! სჯობია, „საქართველო“ თავს დაანებებდეს მუშებზე წერას, რადგან მას მეტი გასავალი ექნება მოხელეთა კავშირში, რომელიც „საქართველოს“ სიტყვით აჯანყების მოხდენას აპირებს.

* * *

„ტრუდოვოე ზნამია“—კრიჭაში ჩადგომია ჩვენს მთავრობას და ყოველ მის ნაბიჯს იწუნებს. გუშინდელი მოწინავე წერილიც ამ საგანს ეხება. კრიტიკა პრესის მოვალეობას შეადგენს და ჩვენც რა გვექნებოდა „ზნამიას“ წინააღმდეგ, რომ ის ჰოტენტოტურ ფილოსოფიას სოციალისტურ სიბრძნეთ არ ასაღებდეს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ „ზნამიას“ გოდება იმის გამო, რომ ჩვენ ქედი მოვიხარეთ „გარეშე ხიშტის“ წინაშე. მერე რა არის აქ დასაძრახი? თუ დიდმა რუსეთმა მოიხარა ქედი უცხოეთის ხიშტის წინაშე, განა პატარა საქართველოს უნდა ჩაეთვალოს ცოდვათ ის, რომ მან ომის გაგრძობა ვერ შესძლო? ეს „ზნამიამ“ კარგათ იცის, მაგრამ მას ვერ მოუნელებია საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიტომ გვიკიჟინებს ის მუდამ გარეშე ძალასთან კავშირს.

„ზნამიას“ გარშემო შემოკრებილ რუს ჩინოვნიკებს ვერ მოუნელებიათ ისიც, რომ საქართველოს მთავრობა ებრძვის კონტრ-რევოლიუციონერებს. ამიტომ სოციალიზმის სახელით ილაშქრებს ის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მთავრობამ დაატუსაღა ის ჩინოვნიკები, რომელთაც ასაფეთქებელი ნივთიერება უპოვეს. „ზნამია“-ს არც ეს მოსწონს და მთავრობას უკიჟინებს: ბებრებს და მცირე წლოვანებს ციხეებში აწყვდევთო, მაშ რა უნდა ქნას მთავრობამ? გულზე ხელი დაიკრიფოს და იცადოს, სანამ ეს „ბებრები“ და „მცირე წლოვანები“ ქალაქს არ ააფეთქებენ?

„ზნამიას“ ყური მოუკრავს, რომ სამინისტრომ შეიმუშავა კანონ პროექტი სპეკულიაციისა და კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმისა და მკითხველს არწმუნებს: საქართველოს მთავრობამ სავსებით შეითვისა თვითმპყრობელობის ზნე ჩვეულება.

ყველა ამის გამო ჩვენ ნება გვაქვს შევეკითხოთ „ტრუდოვიე ზნამიას“ სოციალისტებს: რატომ არის, რომ თქვენი მოღვაწეობა დღეს მარტო ყოფილ რუს მოხელეებს მოსწონს და სხვას არავის?

* * *

„ტრუდოვოე ზნამია“ მარტო არა სდგას ბრძოლის ველზე, მას გვერდს უმშვენებს მეორე რუსული გაზეთი კადეტური „ნაროდნაია სვობოდა“. ისიც აღშფოთებულია საქართველოს მთავრობით, რომლის განკარგულებით რამდენიმე ყოფილი რუსი მოხელე და აფიცერი დაიჭირეს. კადეტების გაზეთი მოითხოვს „პიროვნების გარანტიას“, ის ეკითხება შინაგან საქმეთა მინისტრს: რა საბუთი აქვს მას, სოციალისტს და დემოკრატს მოახდინოს დატუსაღება, რომელიც აფრთხობს მცხოვრებთ, განსაკუთრებით რუსებს და რატომ არ აქვეყნებს ამის შესახებ მასალებსო. კადეტებს ავიწყდებათ, რომ მთავრობა მოქმედობს სრულის თანხმობით პარლამენტთან, და თუ მათ არ მოსწონთ არც ჩვენი პარლამენტი, ეს მთავრობის ბრალი არ არის.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

23 ივლისი.

მოსკოვი ტაშკენტი. ეს დეპეშა დაიჭირა თფილისის რადიო სადგურმა. ლაპარაკობენ კოლესოვი (ტაშკენტი) და ბონჩ ბრუევიჩი (მოსკოვი).

კოლესოვი: მე გამოვგზავნე თქვენთან რამდენიმე დელეგაცია. ასხაბადის ფრონტმა სრულიად მოგვწყვიტა კავკასიას. აუცილებლათ საჭიროა ბაქოდან დახმარება პატრონების მოწოდებით. თუ შესაძლებელია აცნობეთ ბაქოში, რომ კრასნოვოდსკის მიმართულებით შემოუტიონ თუ გინდ მცირე ძალებით, რითაც ჩვენ საშვალებას მოგვცემდენ ოდნავ ამოგვესუნთქა და პატრონები შეგვეძინა. ჩვენ საბოლოოთ ვიცლებით სისხლისაგან. ასხაბადის მოძრაობას მეთაურობენ აფიცრები. რა ხდება ციმბირში და ურალზე? მირბახი მართლა მოკლეს? რას აპირობენ სოც.-რევ.? საჭიროა ვიცოდე ჩიჩერინის აზრი იმის შესახებ, თუ რა ნაირი პოლიტიკა უნდა ვაწარმოვო იმ პირების მიმართ, რომლებიც თურქესტანში კომერსანტების სახით მოდიან.

ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი. ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაწარმოვებთ ვოლგაზე ჩეხოსლოვაკების წინააღმდეგ. მირბახი მართლა მოჰკლეს მემარცხენე ესერებმა. ამ ავანტიურას გასავალი არ დაურჩა. ესერების პარტიის უმრავლესობამ არ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ნაბიჯი ამ საქმეში. საჩქარო ტეხნიკურ დახმარებას ითხოვს ცარიცინი. რამდენიმე ხნის შემდეგ შემიძლია მოგცე უფრო დაწვრილებითი პასუხი. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი მდგომარეობა საძნელოა. გამხნევდით, რევოლიუციის ხსნის სახელით მოიკრიბეთ ყველა ძალები თეთრ გვარდიელებთან საბრძოლველად.

24 ივლისი.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. ფრონტის სხვადასხვა ალაგას ინგლისის რაზმებმა ჩვენზე იერიშები მოიტანეს. იერიშები მოვიგერიეთ. საღამო ხანს საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა. გერმანიის კრონ პრინცის ლაშქარის ფრონტზე სრული სიწყნარეა. მდ. ენის სამხრეთით წინა დღით მტერს დიდი ზარალი მოუვიდა, ამიტომ გუშინ მან ვერ შესძლო იერიშების განახლება. მდ. ენის ორივე ნაპირად და აგრეთვე მდ. ურკსა და მარნას შორის მტრის სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ მტრის რაზმები, რომლებიც შოლგინოს ორივე მხარეს მარნასთან ჩვენს ბანაკში შემოიჭრენ, უკანვე გავრეკეთ.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. მტრის მზვერავი რაზმების მიერ მოტანილი იერიშები ზღვის პირის რაიონში მოვიგერიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მთელს ფრონტზე ზომიერი საარტილერიო სროლაა. აჯანყებულების მიერ ხელ-ახალი იერიშები მდ. მაანზე უნაყოფო იყო. ტაფილეს ოლქში ჩვენმა მფრინავებმა აჯანყებულთა ბანაკში ყუმბარები ჩაყარეს.

პარიჟი. მდ. ურკის ორივე ნაპირათ ფრანგების მიერ მოტანილი იერიშები, მიუხედავათ გერმანელთა სასტიკი წინააღმდეგობისა, ნაყოფიერი იყო. ამ მდინარის ჩრდილოეთით ფრანგებმა დაიკავეს ახალი მაღლობები და აიღეს სოფ. მონტკრი. მდ. ურკის სამხრეთით ფრანგ-ამერიკელთა ჯარი გადავიდა შატო-ტიერის გზაზე. მარნასა და რეიმსს შორის სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ფრანგ ამერიკელთა ჯარები აქ შეტევაზე გადავიდენ და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს. წამოიყვანეს 100 ტყვე, ხელთ იგდეს 5 ზარბაზანი მონ დილერის ჩრდილოეთით ჩვენ წამოვიყვანეთ 1000 გერმანელი ტყვე ჯარისკაცი და 30 აფიცერი.

უკრაინის პრესა იუწყება, რომ უკრაინის რკინის გზებზე გაფიცვაა. 19 ივლისს კიევში არც ერთი მატარებელი არ მისულა. გაფიცვა მწყობრათ მიმდინარეობს და ჯერჯერობით არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. გაფიცვა მოედო უკრაინის ყველა რკინის გზებს. როვნოში და ზოგიერთ სხვა სადგურებზე დაპატიმრებულ იქნენ გაფიცვის კომიტეტები. ბერდში დააკავეს ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩები. მათ მოსთხოვეს რომ დასტოვონ უკრაინა.

უკანასკნელი ცნობები

სოხუმი.

გენერალ მაზნიაშვილისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: 23 ივლისს დილის 9 საათზე ჩვენ ბრძოლით მივაწევდით სოფ. [illegible] სოფ. გოლოვინკაზე, აქ მოგვიხდა შეტაკება მოწინააღმდეგის უმთავრეს ძალებთან მოწინააღმდეგე დავამარცხეთ, ისინი უწესრიგოთ გაიქცენ ტუაპსეში. ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, ორი ტყვიისმფრქვეველი, ერთი ავტომობილი და ტყვიები, რომელთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. მოწინააღმდეგეს დაახლოვებით 800 კაცამდე ყავს, აქვთ ჯავშნიანი ავტომობილები და მატარებლები. მოწინააღმდეგის არტილერია ისროდა ყუმბარებს მხრჩოლავი „გაზით“. ჩვენი ყველა რაზმელები ჩინებულად იქცევიან. სულიერი განწყობილება კარგია“.

გენ. მაზნიაშვილი შუამდგომლობს, რომ მოწინავე რაზმის უფროსი მე-3 ქართულ პოლკის კაპიტანი დავით ჭკაპუა დაჯილდოვებულ იქნას.

ბაღდადი.

სამხედრო მინისტრმა გენერალ სუმბათაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ოსეთის სამხედრო გზაზე ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სოფელი ნამოხვანი. ტყიბულის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა. ბაღდადის მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ სოფ. როხი. მოწინააღმდეგე შეგვხვდა თოფების სროლით. მოწინააღმდეგე გავრეკეთ საარტილერიო ცეცხლით სოფ. როხი, უხუთი და გორედან. ზარალი დიდი მივაყენეთ. ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით სოფლებს იარაღს ვყრით და საჯარისკაცო პირებს ქუთაისში ვაგზავნით. სოფ. საღმეტრაო, სალომინაო და გორისის მცხოვრებლებმა იარაღი ჩაგვაბარეს და მორჩილება გამოგვიცხადეს. ამ ხნის განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 19 კაცი. ჩვენი წინსვლა გრძელდება. ჩვენის მხრით მსხვერპლი არ არის.

დაშნაკცუტიუნის იარაღი

სომეხ-გადმოხვეწილებზე ვითომდა ზრუნვა სომხური პარტიის დაშნაკცუტიუნის ხელში ბასრი იარაღი გამოდგა ამ პარტიის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ ჟამად დაბინავებული რამოდენიმე ათი ათასი გადმოხვეწილი სომეხი საუკეთესო ქურაა იმ შოვინისტური ცეცხლის გასაღვივებლათ, რომელსაც ეს პარტია დღიდან გაჩენის ანთებს სხვადასხვა ადგილებში.

საქართველოს დამოუკიდებლობას ეს პარტია მტრულათ შეხვდა.

სეიმის უკანასკნელ სხდომაზე ამ პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცივათ განაცხადა: „ყველა ერს უფლება აქვს თავისი ცხოვრება ისე მოაწყოს,

ივერიანა ბიბლიოთეკა

„როგორც ის თავისთვის საუკეთესოთ დაინახავსო“.

ეს იყო და ეს.

ამის მეტი—არა თუ მოლოცვა, არც თანაგრძნობა მათგან ჩვენ არ მოგვისმენია.

მუქარა კი—ბევრი.

დიდ მნიშვნელობას ჩვენ, რასაკვირველია, არ ვაძლევთ **ოფიციალური** ენით მოლოცვას და სხ, მაგრამ ესეც აღსანიშნავია, სხვათა შორის.

როცა თფილისის ქალაქის საბჭოში საკითხი დაისვა ქალაქის საბჭოს საქართველოსთან დამოუკიდებულების შესახებ, დაშნაკელების ერთმა მეთაურთაგანმა—გიორგი ხატისოვმა განაცხადა: ჩვენ მხარს დაუჭერთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, **იმდენათ, რამდენათაც** ეს რესპუბლიკა სომხის დემოკრატიის ინტერესებს დაიცავსო.

დაშნაკელების ბელადის გ. ხატისოვის პირით სომხის დემოკრატიის ინტერესების დაცვაზე ლაპარაკობდა სომხის ბურჟუაზია, სამღვდელოება,—ერთი სიტყვით, სომხური შოვინიზმი

გიორგი ხატისოვის პირით დაშნაკელებმა საკითხი შესაფერისათ დააყენეს.

დასამტკიცებელია ის, თუ რამდენათ დაიცვა საქართველოს რესპუბლიკამ სომხის ხალხის ინტერესები?

დაშნაკცუტიუნიც შეუდგა მუშაობას.

ჩვენ ამ წერილში არ შევეხებით ამ პარტიის საქართველოს გარეთ საქართველოს წინააღმდეგ სიტყვიერ თუ წერით მოღვაწეობას. არც თფილისის ქუჩებში მათ აგიტაციას შევეხებით. ეს ბევრმა ჩვენმა მკითხველმა ისმინა და იხილა. აღვნიშნავთ მხოლოდ გაკვრით თფილისის გაზეთების როლს ამ საქმეში:

რუსული გაზეთები—„ტრუდოვოე ზნამია“, „კავკაზსკოე სლოვო“, „ნაროდნაია სვობოდა“, „ედინენიე“, სომხური—„ორიზონ“—„აშხატავორ“—„ღრაბერი“ და „მშაკი“ დასახულ მიზანს ერთგულათ ემსახურებიან!

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ჩამოთვლილი რუსული გაზეთები სომეხთა ბურჟუაზიის საფასურით თუ არ გამოდიან, ყოველ შემთხვევაში, მთელს თავიანთ იმედებს სომეხ მკითხველებზე, მათ თანაგრძნობაზე ამყარებენ.

აი ეს გაზეთები ამტკიცებენ ყოველ დღე, ყოველ წერილში, სისტემატიურათ, თავის გამოდებით, რომ საქართველოს რესპუბლიკამ ფეხ ქვეშ გასთელა სომხის ხალხის ინტერესები!

სომხის ხალხი ოსმალეთს მისცა პირში,

ბორჩალოს მაზრის შემოერთებით სომხეთი დაღუპა,

ლტოლვილების გამოსაკვებათ 100 ათასი მანეთი გადასდო მთავრობამ იმ დროს, როცა დღიური ხარჯი ლტოლვილებზე 40—50 ათასი მანეთია,

ლტოლვილებს საზღვრებში არ უშვებენ და სხვადასხვა..

როგორც ვთქვით, საქმე მოხდენილათაა დაწყებული.

ის რისხვა, რომელიც სამართლიანად უნდა დაატყდეს თავს სომხის ბურჟუაზიას, სომხის სამღვდელოებას—ამ კლასთა დამცველი დაშნაკცუტიუნი ცდილობს მიმართოს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ.

მაშინ დამტკიცებული იქნება, რომ საქართველოს რესპუბლიკამ ვერაფრათ დაიცვა აღთქმული ინტერესები, ამიტომ ვერც მხარს დაუჭერთო და სხ.

აი რაში იყო გიორგი ხატისოვის სიტყვების „იმდენათ—რამდენათ“ ის შინაარსი!

სომხის ბურჟუაზია მხოლოდ **სიტყვით** თანაუგრძნობს გადმოხვეწილ სომხობას, **საქმით კი** ოქროებით იტენს ჯიბეებს!

სომხის სამღვდელოებაც **სიტყვით** ევედრება უფალს, რომ მან არ მოაკლოს მზრუნველობა სომეხ ღარიბთ, **საქმით** კი აგროვებს დიდძალ ქონებას თავისთვის და არა ხალხისთვის.

თფილისის ერთი გაზეთი სამართლიანად აღნიშნავდა ამას წინად,—სომხის სამღვდელოებამ რომ ერთ-ერთი ეკლესიის ქონება გაჰყიდოს და ფულები სომეხ გადმოხვეწილებს მოახმაროს, გაჭირვებული ხალხი უზრუნველყოფილი იქნებაო.

მაგრამ ასე არ იქცევიან დაშნაკცუტიუნის ბრძანებით.

დახმარების სავალდებულოთ უხდიან მხოლოდ ქართველ დემოკრატიას, სომხის ბურჟუაზიას და სამღვდელოებას ეუბნებიან—რაც შეიძლება მეტი ქონება დააგროვეთო!

დაშნაკცუტიუნის რჩევით სომხის ბურჟუაზია თუ სამღვდელოება მილიონობით დახარჯავს ფულს საქართველოს ტერიტორიაზე ნაგლეჯი მიწის შესაძენათ, რომ იქ საწყალი სომხები ჩაასახლონ, რითაც შოვინიზმის საძირკველს გაამაგრებენ, მაგრამ კაპეიკსაც არ გაიღებენ ამავე საწყლების გამოსაკვებათ, შესამოსათ, ვინაიდან ეს ხელს არ შეუწყობს მათ აგიტაციას.

მაძღარი ხალხი, აბა, ვის უნდა მიუსიონ!

ორივე შემთხვევაში,—გადმოხვეწილთა ინტერესების დაცვას ჰკიდებენ ხელს სომხის ნაციონალისტები, თუ მათ „დროებით“ დაბინავებას საქართველოში,—ისინი ხელს უწყობენ შოვინიზმის გაძლიერებას.

როცა ჩვენ ამას აღვნიშნავთ ხოლმე გაზეთში, ვებრძვით მათ ასეთ პოლიტიკას, ისინი „გამოლმა გვედავებიან“, ჩვენ გვნათლავენ შოვინისტებათ!..

სომხის დემოკრატიას კი ჩვენ ვეტყვით: მოსთხოვეთ ანგარიში, დახმარება, მშობელი ერის შოვინისტებს, მდიდრებს, ბურჟუაზიას, სამღვდელოებას. შენი მოთხოვნა სამართლიანია, შენთან იქნება ყველა ერის დემოკრატია, შემწეობისდა გვარათ მხარს დაგიჭერს, დაგეხმარება!

აი ის უებარი წამალი იმ წყლულის განსაკურნავად, რომელიც სომხის დემოკრატიის სხეულს აჩირქიანებს.

აი რა არის ჩვენი რჩევა, გამოსავალი გზა, უკეთუ მას სომხის დემოკრატია ყურად იღებს...

დემოკრატიისაგან მოგროვილი გროშები კი მხოლოდ მორალური მნიშვნელობის იქნება და არა რეალური დახმარება. გ. მ.

ახალი ამბები

დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია ს. დ. პ. საოლქო კომიტეტის კრება.

◆ **პარასკევს, 26 ივლისს, საღ. 6 საათზე დანიშნულია სასწრაფო კრება თფილისის კომიტეტისა ს. დ. მ. პ. ბიუროს ბინაზე. რადგანაც მეტათ საყურადღებო კითხვებია გასარჩევი, სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრან.**

◆ **ხოლერა.** 22 ივლისის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 16 ხოლერიანი და 8 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. 8 ხოლერით ავადმყოფი მორჩა და გამოეწერა, გარდაიცვალა დღის განმავლობაში 12. 23 ივლისს იყო 182 ხოლერიანი და 27 ხოლერის ნიშნით ავადმყოფი.

◆ **სათბობი მასალის ეკონომიის შესახებ** გამართულმა თათბირმა დაადგინა სთხოვოს ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს, რომ იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რათა სამგზავრო მატარებელთა რიცხვი რკინის გზებზე შემცირებულ იქნას.

◆ **თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა** საზოგადოება 27 ივლისს ხსნის ცენტრალურ სახ. უნივერსიტეტთან 2—2 ნახ. თვის კურსებს ადგილობრივი თვითმართველობის შესასწავლად. მსმენელებმა უნდა გადაიხადონ 25 მანეთი. მსმენელთა რაოდენობა განსაზღვრულია. კურსებზე შეიძლება ჩაეწერონ სხვადასხვა ქალაქთა და ერობათა მოსამსახურენი.

◆ **თფ. რკ. გზის ადმინისტრაციის საყურადღებოთ.** შაბათს, 20 ივლისს თფ. სადგურზე ერთს მეტათ არა სასიამოვნო ფაქტს ქონდა ადგილი, რომელსაც აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს. საქმე შემდეგში იყო: მატარებელი მიდიოდა ქუთაისისაკენ საღ. 9 საათზე; როდესაც მეორე ზარი დაჰკრეს, ხალხი მიაწყდა ვაგონებს შესასვლელათ. პირველი კლასის ვაგონის ერთ ერთ კუპეს რომ მიადგნენ შესასვლელათ, იქ დახვდა მილიციონერი და არავის არ უშვებდა. როდესაც მას შეეკითხნენ: რათ არ გვიშვებთო, მან უპასუხა: მინისტრის ნათესავი მიდისო. როდესაც მილიციონერს უპასუხეს: ერთი თუ არის ერთი ადგილი ეკუთვნისო და აქ კი მეტია ადგილიო, მილიციონერი მაინც თავისას ამბობდა: რა ვქნა, ასე მაქვს ნაბრძანები და ჩემს მოვალეობას ვასრულებო. ამ სიტყვებმა, ასეთმა მოქცევამ ხალხში აღშფოთება გამოიწვია. ასეთ დროს შემოვიდა „მინისტრის ნათესავი“—ელენე მეფისაშვილის ქალი. სწორეთ გასაკვირალია და საინტერესო—ვისი განკარგულებით იყო ეს მთელი „კუპე“ დაკავებული მილიციონერის მიერ და რათ დასჭირდათ ხალხისათვის ეთქვათ მინისტრის ნათესავი მოდისო? ვინ ჩაიდინა ასეთი შანტაჟი, ვისი განკარგულებით იყო მილიციონერი დაყენებული, რომ მინისტრის სახელისათვის ექსპლოატაცია გაეწია? საჭიროა ასეთ მოვლენას მიექცეს შესაფერი ყურადღება.

◆ **ტრიბუნალში.** 23 ივლისს ტრიბუნალმა გაარჩია საქმე ოგანოვის გაძარცვის შესახებ, რომლის გამო დატყვევებულნი იყვნენ სასახლის მეორე ცხენოსანთა ასეულის ჯარისკაცები: ჟორდანია, ახვლედიანი, ცინცაძე, ოგანოვის მოსამსახურე ხვადაგიანი და მისი ამხანაგი. გამოტანილ იქნა შემდეგი განაჩენი: ჟორდანიას და ახვლედიანს მიუსაჯეს ოთხი წლის კატორღა. ხვადაგიანები და ვ. ცინცაძე ტრიბუნალმა გაამართლა.

◆ **სომხის დიპლომატიური მისია** ღებულობს ზომებს, რომ მიმოსვლა ერევანსა და თფილისს შორის აღდგენილ იქნას.

◆ **ხოლერა სიღნაღში.** სიღნაღიდან იტყობინებიან, რომ ლტოლვილებში გავრცელებულია ხოლერა (სოფელშიც ვრცელდება. სოფელი აუწერელ შიშს განიცდის, რომლის დასაწყნარებლად მიღებულია ზომები და ლტოლვილებს მაზრის საზღვრებთან აგროვებენ

◆ **ჭიათურის მუშებისა და შავი ქვის მრეწველთა** შორის მოლაპარაკება შესწყდა, რადგანაც შავი ქვის მრეწველებმა უარჰყვეს ის პუნქტები, რომლებზედაც პირველათ თანხმობას აცხადებდნენ. მოლაპარაკების კომისიის თავმჯდომარე თფილისში დაბრუნდა.

◆ **საბეითლო ბიუროს** მიეცა 100,000 მ. საქონლის შესასყიდათ, რათა მომზადდეს შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

◆ **ქუთაისის ქალაქის** თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე 1 მილიონი მანეთის გადადების შესახებ წყალსადენის გასაყვანათ.

◆ **მილიციონერთა შორის.** 22 ივლისს შესდგა დამფუძნებელი კრება რკინის გზაზე მოსამსახურე მილიციონერთა წარმომადგენლებისა, რომელსაც დაესწრნენ: ცენტრალური პროფესიონალური კავშირის მდივანი ა. ს. ხელაძე და თფილისის სამოქალაქო მილიციის პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარის ამხ. ვ. ასათიანი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომისია წესდების შესამუშავებლად. კომისიაში არჩეული არიან შემდეგი პირები: ს. მეხუზლა, ი. მეგრელაძე, ი. გელაძე, მ. პეტრენკო, ვ. ბოლქვაძე, ალ. მაჭავარიანი და მაკარი მახარაშვილი (ფოთის რაიონის წარმომადგენელი არ გამოცხადებულა).

◆ **ვიპოვეთ** სკოლის მოწმობა საზანდარიშვილისა. ინახება კანტორა „განათლებაში“.

◆ **შესდგა კომისია** ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში შტატის შესამოკლებლათ და ნაციონალიზაციის გასატარებლათ. ამავე კომისიას დაევალა შეადგინოს პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგებლობის რეორგანიზაციის შესახებ.

◆ **ნაძალადევის XI უბნის** სასურსათო კომიტეტის შენობაში დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება შეერთებული სხდომა სამოქალაქო და სასურსათო კომიტეტებისა. განსახილველია საკითხი შესახებ პურის კრიზისისა.

◆ **ქურდობა.** 23 ივლისს 3—5 საათამდე ჩულანოვისა და გლავაცკის მაღაზიიდან ბოროტ მოქმედებმა წაიღეს ოქროსა და ვერცხლის საქონელი 7,000 მ. ღირებული.

◆ **მთავრობაში** კითხვა აღიძრა იმის შესახებ, ვრცელდება თუ არა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ ქვეშევრდომებზე აგრარული რეფორმაო.

◆ **რაჭველი ბალშევიკები საშა გეგეჭკორის რაზმში.** საშა გეგეჭკორის რაზმს, რომელიც ჯერ კავკავში და იქიდან-კი დუშეთის ბრბოს დასახმარებლათ მიდიოდა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ, რაჭიდან სულ ათიოდე კაცი გაჰყვა. დუშეთის ფრონტიდან სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ჩვენ რაზმთან შეტაკების დროს მოუკლავთ: ვიღაც პრაპორშჩიკი კობახიძე (სოფ. იწა, სახელი არ ვიცით) და ილიკო ყრუაშვილი (სოფ. ხოტევი). ტყვეთ არიან წამოყვანილნი: მიხა ამირანის ძე ჭელიძე (სოფ. ჭელიაღელე), გრიშა ზურაბის ძე ჭელიძე (სოფ ჭელიაღელე), ევგენი (გენო) მიხეილის ძე ჭელიძე (სოფ. ჭელიაღელე) და ლადიკო პეტრეს ძე შავლაძე (სოფ. კაჩიეთი).

◆ **ახალი გაზეთი.** 29 ივლისს რუსულ და ქართულ ენებზე გამოვა რკინის გზის მთავარი კომიტეტის ორგანო „თავისუფალი გზა“ (საორშაბათო) რუსული გაზეთის რედაქტორათ მოწვეულია ბ. ი. კორნეევი, ქართულის—ა. გ. რუხაძე.

◆ **ექსკურსია.** სავაჭრო-სამრეწველო პროფესიონალური კავშირის მოსამსახურეთა კულტურულ-განმანათლებელი კომისია აწყობს ექსკურსიას კოჯორში. ექსკურსანტები გაემგზავრებიან შაბათს, 27 ივლისს საღამოს 6 საათზე. შესაკრებ ადგილათ დანიშნულია ერევნის მოედანი.

◆ **რუსთა ნაციონალური საბჭო** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „23 ივლისს ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ გერმანიის სამხედრო მისიამ განუცხადა რუსთა ნაციონალურ საბჭოს, რომ ისინი რუს ტყვეებს, რომლებიც იმყოფებიან ოთხთა კავშირის ტერიტორიაზე არ სთვლიან სამხედრო ტყვეებათ, არამედ—სტუმრებათ და წინადადება მისცა საბჭოს რუს ტყვეების ამბების გასაგებათ გაეგზავნათ დელეგატები. ასეთი ცნობა რუსთა ნაციონალურმა საბჭომ მიიღო არა გერმანიის მისიისაგან, არამედ—ოსმალეთის სამხედრო მისიისაგან და წინადადება მისა ეხება იმ ტყვე რუს ოფიცერ და ჯარისკაცთ, რომლებიც ოტომანის იმპერიის ტერიტორიაზე იმყოფებიან“.

◆ **ლტოლვილების შესახებ.** ქალაქში ხმები გავრცელდა, რომ საქართველოს სამხედრო გზით კავკაზში ლტოლვილებს უშვებენო. ამიტომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აცხადებს, რომ ამ გზით ლტოლვილების გაშვება ყოვლად დაუშვებელი იქნება მანამ, ვიდრე ამის შესახებ განსაკუთრებული გადაწყვეტილება არ იქნება.

◆ **სეირნობა.** თფილისის ქართული გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით, კვირას, 28 ივლისს 1918 წ. ვერის პარკში მართავს დიდ სახალხო სეირნობას საკონცერტო განყოფილებით და სხვა გასართობებით. 25 პროც. წმინდა შემოსავლიდან გადაიდება მეოთხე რაიონის წითელ გვარდიის შტაბის სასარგებლოთ. დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია მე-2 სამილიციო უბნის მცირე-კოლექტივის სხდომა. ლორის-მელიქოვის ქუჩა, მელიქოვის მაღაზიაში.

— დღეს, 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე 6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 25 ივლისს, საღამოს 6 საათზე, თავის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება.

ქალაქის საბჭო.

22 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ა. ლომთათიძე.

სხდომის გახსნისას ქალ. თავის ამხანაგი ა. ა. კალიუნი აცნობს სხდომას, თუ როგორ ვრცელდება ხოლერა და რა ზომები იყო მიღებული მის წინააღმდეგ ქალაქის მხრით. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ხოლერა წყლით არ ვრცელდება. ჩვენ უნდა ვეძიოთ ხოლერის გავრცელების მიზეზი მცხოვრებთა სიმრავლეში, ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობასა და სურსათის ნაკლებობაში.

ხოლერის წინააღმდეგ გამომუშავებული გეგმის სისრულეში მოყვანას ხელს უშლის ფულის უქონლობა. ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი, რომლის სისრულეში მოყვანა შესძლო თვითმართველობამ, ეს იყო ხოლერის წინააღმდეგ აცრა ლტოლვილთა შორის და შეიძლება ამიტომ იყო, რომ ავათმყოფობას სასტიკი სახე არ მიუღია. რომ ხოლერის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, საჭიროა ლტოლვილთა საკითხი მოვაგვაროთ.

უნდა დავაარსოთ სანიტარული ფონდი, მოქალაქენი ერთდროული გადასახადით დავბეგროთ.

ქალაქის სანიტარული საჭიროებისათვის საჭიროა 119 ათასი მანეთი. ქალაქის გაწმენდა მოითხოვს 200,000 მან. ლტოლვილთათვის სანიტარული განყოფილების მოსაწყობად საჭიროა 220 ათასი მან. მაში შევა ლაზარეთების შენახვა. ასე რომ დაუყონებლივ საჭიროა 450 ათასი მან., რომ აუცილებელი ზომები მიღებულ იქნას.

მცირე კამათის შემდეგ საბჭომ პრინციპიალურად მიიღო მოქალაქეთა სპეციალურად დაბეგვრის პროექტი. პროექტის დაწვრილებით განხილვა მიენდო სპეციალურ კომისიას საბიუჯეტო-ფინანსიურ კომისიის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიასთან ერთად. კომისიაში ამორჩეულ იქნენ გოთუა, კაფიევი, სუხოვი და ტერ-სტეფანოვი.

ნ. ელიავას წინადადებით საბჭო უფლებას აძლევს გამგეობას შუამდგომლობა აღძრას მთავრობასთან 600 ათასი მ. გადადების შესახებ სანიტარული ფონდის დასაარსებლათ.

ხმ. ვეშაპელი შეკითხვას იძლევა: ეს მიღებული ფული ხოლერასთან საბრძოლველათ იქნება გადადებული, თუ ლტოლვილთა საჭიროებისთვისო.

ნ. ელიავა განმარტებას აძლევს, რომ ფული მოხმარდება ხოლერასთან ბრძოლას.

შემდეგ სხდომამ განიხილა მთელი რიგი წვრილმანი საკითხებისა და დაადგინა გადაეცეს შრომის კომისიას გასარჩევად კითხვა სალიკვიდაციო ფულის რაოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მიეცეს ქალაქის თვითმართველობაში შტატ გარეშე არჩენილ მოსამსახურეებს. გა—ლია

მუშათა წერილები

რეაქცია ბალშევიზმის ქურქში.

25—26 ოქტომბრის შეთქმულობამ რუსეთის დიდი რევოლიუცია დამარცხებისაკენ დააქანა. ბალშევიკების ავანტიურამ დაარღვია რუსეთის დემოკრატიის ფრონტი და ამით უდიდესი სამსახური გაუწია რევოლიუციის მოსისხლე მტრებს. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ბალშევიკების პოლიტიკამ დაასამარა რევოლიუცია და მასთან ერთად საფრთხეში ჩააგდო რუსეთის ხალხთა ფიზიკური არსებობაც. ჩვენთვის, მუშებისათვის, რომელნიც თავიდან ვიზიარებდით ს.-დემოკრატიულ პარტიის ტაქტიკას ცხადი იყო, რომ ბალშევიკები თავიანთი ურა ტაქტიკით ღუპავენ ძვირად მოპოვებულ თავისუფლებას, ამიტომაც პირველ დღიდანვე მათ წინააღმდეგ სასტიკათ ვილაშქრებდით და მოვითხოვდით კვლავ დემოკრატიის ძალთა გაერთიანებას თავისუფლების და სამშობლოს საკეთილდღეოთ. მაგრამ ეს არ მოხდა. რუსეთის რევოლიუცია დამარცხდა, ჩვენ, ქართველ დემოკრატიას, ამ დამარცხებაში უკან დახევა მოგვიხდა. ეს იყო ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და შემდეგ კი საქართველოს დამოუკიდებლობა. წინათ წინააღმდეგი ვიყავით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, რადგანაც კარგათ გვესმოდა, რომ კაპიტალისტურ ხანაში წვრილი სახელმწიფოები მსხვერპლი არიან დიდი სახელმწიფოების. ამიტომაც ჩვენ მტკიცეთ ვიცავდით რუსეთის ფარგლებში დარჩენას. მაგრამ მას შემდეგ, რომ ბალშევიკების პოლიტიკამ დაღუპა რუსეთის დიდი რევოლიუცია და მასთან ერთათ რუსეთის მთლიანობა, აი, ამის შემდეგ იძულებული შევიქენით ჩვენი თავისთვის ჩვენ თვითონ მოგვევლო და მოგვენახა ძლიერი მოკავშირე. ამ აქტმა გააბრაზა, რუსი—ჩინოვნიკი, ნიკოლოზის მონა-მორჩილი რომ იყო. სომხის კაცი-ჭამია შოვინისტები და სხვა ერის ნაციონალისტები. და ყველა ამ ხალხმა თავი მოიყარა ბალშევიკების ოჯახში და იქიდან რევოლიუციას და ჩვენ ქვეყანას დაუწყეს თავდასხმა:

ბალშევიკების ორგანიზაცია აქ თავიდანვე შეიქნა ბუდე რეაქციონერებისა. მათში თქვენ ნახავდით ძველ ჟანდარმს, ძველ ბოქაულს და „სტრაჟნიკს“. ამ ხალხს ბალშევიკები სოციალიზმის მოციქულებათ ნათლავდნენ, ეს აშკარათ განაცხადა ქუთაისის მუშათა საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე ბალშევიკების ლიდერმა ორახელაშვილმა. ამ ხალხმა თავიანთ ორგანიზაციაში მოუყარეს რა თავი რეაქციის ღვიძლ შვილებს, მოაწყვეს თავდასხმა რევოლიუციონურ ორგანიზაციების და მთავრობის წინააღმდეგ. მკითხველს, ალბათ, გაახსენდება ჯერ მათი პირველი სამარცხვინო გამოსვლები, რომელიც მოხდა გორში, ხაშურში, ქუთაისში, ლეჩხუმში და სამეგრელოში, ცხინვალში და სხვაგან. სადაც ვერაგულად დახოცეს ნამდვილი რევოლიუციონერები, როგორიც იყვნენ სანდრო კეცხოველი, გიორგი მაჩაბელი და ლევან დადეშქელიანი. მათი მაშინდელი სამარცხვინო გამოსვლები რევოლიუციონურმა მთავრობამ და სახელოვანმა გვარდიამ ჩააქრო. ამ ნაძირალებმა სხვა ალაგას კვლავ მოაწყვეს ამბოხება ჩვენი მტრების სასარგებლოდ. დუშეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო და საჩხერე. აი, ის ჩამორჩენილი კუთხეები, სადაც კიდევ გასავალი აქვს ბალშევიკების პროვოკაციას. მათ წინააღმდეგ უკვე იბრძვის მთავრობის ჯარი და სახალხო გვარდია. გამარჯვება ჩვენს მხარეზეა. ბალშევიკების ავანტიურა სასტიკათ მარცხდება. აქ მცხოვრები ხალხი ერკვევა იმ ბურუსიდან, რომელშიაც ისინი ბალშევიკებმა გაახვიეს. უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ჯარის და სახალხო გვარდიის ხელმძღვანელები ხულიგანთა „ბანდების“ დამარცხების შემდეგ ხალხში ახდენენ კრებებს და უხსნიან საქმის ნამდვილ მდგომარეობას. და როდესაც ხალხი ერკვევა, ის წყევლა კრულვით იხსენიებს ბალშევიკებს, რომლებმაც უსირცხვილოთ მოატყუილეს და აამხედრეს რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ.

რუსეთის დიდ რევოლიუციას ნამდვილი კონტრ-რევოლიუცია ორი მხრიდან ებრძოდა. პირველი იყო მარჯვნივ კორნილოვის სახით და მეორე მარცხნივ ლენინის სახით. უფრო ძლიერი დამღუპველი მეორე მხარე აღმოჩნდა. მართალი იყო ირაკლი წერეთელი, როდესაც ამბობდა: „ბალშევიკები თავის პოლიტიკით აღებენ იმ კარებს, საიდანაც ნამდვილი კონტრ რევოლიუცია შემოიჭრებაო“. დიახ, ბალშევიკებმა გაიღეს ის კარები, საიდანაც შემოიჭრენ რეაქციის აგენტები და რევოლიუციას სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. ჩემის ღრმა რწმენით, როდესაც მომავალი ისტორიის მიუდგომელი მკვლევარი გადაშლის რუსეთის რევოლიუციის ფურცლებს, იტყვის, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია, უპირველესად ყოვლისა, დაამარცხა იმ რეაქციამ, რომელიც მას მოევლინა ბალშევიზმის ქურქში.

როგორც უკანასკნელი ცნობები გვიჩვენებს, ჩვენში ხულიგანთა მიერ მოწყობილ ამბოხებებს ბოლო ეღება. ამ შემთხვევაში მთავრობის მოქმედება უნდა იქნეს უსასტიკესი მეამბოხეთა მეთაურების წინააღმდეგ. მაგარი მთავრობა, მაგარი ადმინისტრატიული აპარატი, აი მოთხოვნილება ხალხისა.

მინდა მივუთითო ჩვენს საოლქო კომიტეტს შემდეგზე: უკანასკნელ ხანებში ჩვენს ცხოვრებაში ბევრი პოლიტიკური ცვლილებანი მოხდა. ეს იყო ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა და სხვა. ეს დიდი პოლიტიკური აქტები სოფლად ხალხის დიდმა ნაწილმა არც კი იცის, და თუ იცის რა იყო ამის მიზეზი ნათლად არ აქვს წარმოდგენილი. ამიტომაც არის, რომ ბალშევიკების ხულიგანურ აგიტაციას ჩამორჩენილ მასაში გასავალი აქვს. ამიტომ აუცილებლივ საჭიროა ჩვენმა ხელმძღვანელებმა ჩამოიარონ რესპუბლიკის ყველა კუთხე და განუმარტონ ხალხს, რა მოხდა, როგორია ეხლანდელი მთავრობის შემადგენლობა და რა მიზანი აქვს მას დასახული დემოკრატიის საკეთილდღეოდ. გარდა ამისა, ყველა პარტიული მუშაკები უნდა მიაშურონ სოფლებს და [illegible] შექმნან ძლიერი ორგანიზაციები. ამ მხრივ საჭიროა გადიდგას მეტათ სასწრაფო ნაბიჯები. ძველი პარტიული მუშაკების მობილიზაცია და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში კულტურულ-პარტიული მუშაობის გაჩაღება. აი მომენტის მოთხოვნილება.

ი. ხადემეტროველი.

რატომ უნდა გადაეცეს გლეხებს მიწა კერძო საკუთრებათ?

კონტრ-რევოლიუციონური ძალები თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ. დღეს რევოლიუცია და კონტრ რევოლიუცია სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ.

მანამდე, სანამ კონტრ რევოლიუციონერები საკმაო ძალებს შემოიკრებდნენ თავის გარშემო, რევოლიუციის რეალურ მებრძოლ ძალას უმეტეს ნაწილათ ქალაქის პროლეტარიატი და დემოკრატიის შეგნებული ნაწილი შეადგენდა. რევოლიუციისათვის ეს ძალა ამ დროს სრულებით საკმარისი იყო, მაგრამ მის შემდეგ, რაც კონტრ რევოლიუციონერები აშკარა შეტევის გზას დაადგნენ, ერთად ერთი ქალაქის პროლეტარიატი, ეს ავანგარდი რევოლიუციონური მოძრაობისა, აშკარა არის კონტრ-რევოლიუციონურ იერიშებს ვერ გაუძლებს და აუცილებლათ დამარცხდება, თუ სოფელმა—სოფლის გლეხკაცობამ აქტიური მონაწილეობა არ მიიღო რევოლიუციის მონაპოვართა დაცვაში. და ეს მით უმეტეს მაშინ, როდესაც, როგორც რევოლიუციის, ისე კონტრ-რევოლიუციის რეზერვს ახალ ახალი მებრძოლი ძალების შესაკრებათ სოფელი წარმოადგენს.

ვის გაჰყვება სოფელი—რევოლიუციის ავანგარდს, პროლეტარიატს და მის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატიას, თუ ძველი წეს-წყობილების მოტრფიალე ელემენტებს — კონტრ-რევოლიუციონერებს?

აი, ამაშია ჩამარხული ჩვენი რევოლიუციის და დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი.

ვისაც მიემხრობა სოფელი დღეს, გამარჯვებულიც ის დარჩება.

მაგრამ სოფლის ხალხი, ჩვენი გლეხკაცობა მხოლოდ პრაქტიკული თვალთახედვის ისრით სჭის ყველაფერს და როგორც წვრილი მესაკუთრე მხოლოდ მაშინ იღებს აქტიურ მონაწილეობას ამა თუ იმ სახალხო მოძრაობაში ის ხედავს პირად სარგებლობას, თავისი კერძო საკუთრების გადიდების იმედებს.

ამის გარეშე მისთვის ყოველივე ბრძოლა უმნიშვნელოა და პასსიური ხდება.

დემოკრატიულ წესწყობილებისათვის, საყოველთაო არჩევნებისათვის და პოლიტიკურ უფლებების გულისათვის ის დიდათ არ იბრძოლებს. ამის მაგალითები ისტორიას ბევრი ახსოვს და ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით ამაზე.

მაშ რა აამოძრავებს გლეხკაცობას, რა გამოიყვანს მას ბრძოლის ველზე? თავის თავად ცხადია, მიწის საკითხი, ეს მისი უძვირფასესი სატრფო და მისი ღმერთი. ამისათვის გლეხი იბრძოლებს, სისხლსაც დაღვრის, ცოლსაც შესწირავს და შვილსაც. ამის მაგალითებიც თვალ წინა გვაქვს.

ცხინვალის, დუშეთის, ლეჩხუმის და რაჭის უბედური გლეხკაცობა, უბედური და მოტყუებული ხალხის მტრებისაგან დღეს სწორეთ ამ ნიადაგზე ღვრიან სისხლს.

მათ უთხრეს—დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავადების მთავრობაა და ის მიწები, რომლებიც თქვენ რევოლიუციის დროს დაისაკუთრეთ, მთავრობა უკანვე წაგართმევთ თუ არ დაამარცხეთ ეს მთავრობაო.

გაუნათლებელმა, პოლიტიკურათ მოუმწიფებელმა გლეხკაცობამ ხალხის მტრებს დაუჯერეს და სოფელი კონტრ-რევოლიუციონერების ქსელში გახვეული სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში გადაეშვა.

მართალია ჩვენმა მთავრობამ მიწების შესახებ კანონი უკვე გამოსცა. ბევრგან, ბევრ მაზრებში მემამულეების მიწების ჩამორთმევა უკვე დათავდა, მაგრამ გლეხის წადილი ამით არ დაკმაყოფილდა.

„თავადებს და მემამულეებს მიწებს მართალია ართმევენ, მაგრამ ამას ალბათ ჩვენს მოსატყუებლათ ჩადიან, რომ თვალები აგვიხვიონ, თორემ თუ ასე არ არის, რატომ ჩამორთმეულ მიწებს ეხლავე ჩვენ არ გვირიგებენო“,—ამბობენ გლეხები.

გლეხმა არ იცის, რა არის მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო ფონდი. ის არც სოფლის კომიტეტებს ენდობა, არც მაზრისას და არც საგუბერნიოს. ის მარტივათ მსჯელობს: „ჩამორთმეული მემამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს, მაშასადამე, მომეცი მე. ჩემს გარეშე თუ ვისმეს ხელში გადავა, ჩემთვის სულ ერთია, გინდ მემამულეს ჰქონია, გინდ კომიტეტს“.

მართალია ასეთი შეხედულება არ არის სწორი. ის წვრილი ბურჟუაზიულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ გლეხების ასეთ შეხედულებას.

როგორი მავნებელიც არ უნდა იყოს უღარიბესი გლეხების ასეთი შეხედულება მიწების დანაწილების შესახებ, ერთი დადებითი მხარე მაინც აქვს. სახელდობრ ის, რომ მემამულეების მიწების ჩამორთმევა და ამ მიწების გლეხების ხელში გადასვლა გინდ სრულ საკუთრებადაც კი, სოფლად სპობს ფეოდალურ ნაშთებს, ეკონომიურ საძირკველს იმ კლასისას, რომელიც მუდამ უკან ექაჩებოდა ჩვენს ცხოვრებას, ფეხიდან ალლის და შეუძლებლათ გახდის რესტავრაციას (ძველი, თვითმპყრობელობითი წესწყობილების აღდგენას).

გარდა ამისა უნდა მხედველობაში მივიღოთ ისიც, რომ მიწების გლეხებზე საკუთრებათ დარიგება ჩვენში მეურნეობის ნაყოფიერებას სრულებითაც არ დასცემს, რადგან ჩვენი მეურნეობა ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაშია, რაციონალური მეურნეობა ჩვენ არ გაგვაჩნია და, მაშასადამე, კერძო ინიციატივა ჩვენი მეურნეობისათვის და შრომის ინტენსივობა, გინდ ის პრიმიტიული იარაღებითაც ხდებოდეს, გაცილებით მეტ ნაყოფს მოგვცემს ამ ჟამათ, ვიდრე სხვა ფორმა მიწის მფლობელობისა.

რომ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო მდიდარი იყოს, რომ სახელმწიფო ბანკს საშუალება ქონდეს მუნიციპალიტეტებს მისცეს დიდი თანხები სამეურნეო იარაღების შესაძენათ, მაშინ მიწების მუნიციპალიტეტების ხელში გადასვლა, თავის თავად ცხადია, ჩვენს მეურნეობას დიდათ წინ წასწევდა, მაგრამ ამ ჟამათ განა შეიძლება ვიფიქროთ ამაზე?

მაგრამ ჩამორთმეულ მიწების გლეხების ხელში კერძო საკუთრებათ გადასვლას პოლიტიკური მხარეც აქვს და ამ ჟამათ პოლიტიკური მხარის წინ დაყენებას გვიკარნახებს, როგორც ინტერესი რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების, ისე თვით არსებობა დამოუკიდებელ რესპუბლიკანურ საქართველოსი.

საკმარისია კიდევ დიდხანს გაგრძელდეს ანარქიის ცეცხლი საქართველოს ტერიტორიაზე, რომ გარეშე ძალა ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში, ხოლო ეს ჩარევა კი გამოიწვევს საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვას და რევოლიუციის მონაპოვართა მყისვე გაუქმებას.

მაშასადამე ჩვენს წინაშე ამ ჟამათ ასე დგას კითხვა:—ან მიეცით გლეხკაცობას ჩამორთმეული მიწები კერძო საკუთრებათ და ამით გლეხკაცობა რევოლიუციის გამოესარჩლება, როგორც აქტიური დამცველი და გადაარჩენს რა ქვეყანას ანარქიის ქარცეცხლისაგან, იხსნის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ან და თუ ამას ვერ გავითვალისწინებთ, დავღუპავთ ყველაფერს.

თუ ჩვენი მთავრობა მალე განახორციელებს გლეხების ამ სურვილს, მაშინ გამოყრილი ჩინოვნიკები, დათხოვილი აფიცრები, მამულ ჩამორთმეული მემამულეები, ყოფილი „სტრაჟნიკები“ და მამასახლისები ამ ჟამათ ბალშევიკების მარჯვენა ხელათ რომ გამოდიან, სოფლად ვეღარ გაივლიან. სოფლის კარები მათთვის დაიხშობა და თუ თითო ოროლამ მაინც გაბედა მისვლა, სოფლელები მათ თვით გასცემენ პასუხს.

ბ. ჭუმბურიძე.

ვისთან გვაქვს საქმე?

ტრამვაის მამოძრავებელი სადგურის მუშები 18 ივლისს, 6 საათზე, მოულოდნელად გაიფიცენ. მკითხველი იკითხავს, რამ გამოიწვია გაფიცვაო. ყველა წვრილმან მიზეზების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა და ამისთვის მოვიყვან ზოგიერთს. როგორც თითონ მუშები ამბობენ, 18 ივლისს უნდა დარიგებულიყო ჯამაგირები ჩვეულებრივი წესით, მაგრამ მუშებმა უარი სთქვეს მიღებაზე, რადგანაც წინანდელთან შედარებით ნაკლები ერგებოდათ. წინათ ეს მუშები თვეში ორმოც დღემდე აკეთებდენ, დღეს კი შეიცვალა პირობები. მუშათა მთავარი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემდეგ ნაირათ: წინათ პირველი „სმენა“ მუშაობდა 8 საათს ერთ დღეთ, მეორე 7 საათს (ფაქტიურათ 8 საათს. ერთი საათი ზედმეტათ ეწერებოდათ) მესამე „სმენა“ კი 4 საათით განისაზღვრებოდა, მხოლოდ იმავ წესით 4 საათს ზედმეტს მუშაობდენ. ამ უკანასკნელს მიაქცია ყურადღება მუშათა კომისიამ, რომლის შემადგენლობა უკვე გამოცხადებული იყო ჩვენ გაზეთში და შესცვალა 4 საათი 6 საათად, მაგრამ რამდენათაც ვიცი, ამ წესით არ ინებებს მუშაობა და განაგრძობს ძველებურათ 18-ტამდი; როცა ახალი განაწილებით უნდა დაერიგებიათ ჯამაგირები, მიღებაზე უარი განაცხადეს და დირექციას წაუყენეს ულტიმატიუმი: თუ 5 საათის, განმავლობაში არ დაგვაკმაყოფილებთ, გავიფიცებითო (ასეთი მოკლე ვადიანი ულტიმატიუმი ალბათ ოსმალეთიდან გადმოუღიათ) და მართლაც, საღამოს 6 საათზე სადგური გაჩერეს, მთელი მოსამსახურეები და მგზავრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს. აქა-იქ ქუჩებში ხალხი შეჯგუფებულა და ლაპარაკობენ, ბევრ მათგანს სახეზე ღიმილი ეტყობა, უხარია ეგრე ეკუთვნის თქვენს რესპუბლიკას და სხვადასხვა, რომლის ჩამოთვლა ზედ მეტია. ამ დროს ჩვენი ზოგიერთი ამხანაგები გაეშურენ სადგურისაკენ. იქ დახვდათ მუშების მიტინგი. ერთმა მისულმა ამხანაგმა მათ ასეთ საქციელს უწოდა მოღალატეობა და კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა. ეს სიტყვები არ მოეწონათ და მიაყვირეს: გადი აქედან შენ, ბურჟუაზიის დამცველოო.

მოვიდა „არტელჩიკი“ მოიტანა ფული, მუშაობას მაინც არ იწყებენ: მოიცა ჯერ მივიღოთ და მერმე დავიწყოთ მუშაობა, აბა რა ეჩქარებოდათ. ჩვენ გაფიცვის წინააღმდეგი არ ვართ, როცა საქმე გაფიცვამდი მიდის ყველა საშუალებას ხმარობს მუშები, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა. თავიანთ საკუთარ პროფესიონალური კავშირის შეტყობინებაც არ იკადრეს, არ სცნეს ჩვენი კავშირი და მის გარეშე და დაუკითხავად გამოაცხადეს გაფიცვა და ჩვენ ამ საქციელს არ ვიცით რა ვუწოდოთ. გვინდა გავიგოთ—ვისთან გვაქვს საქმე, მტრებთან თუ ამხანაგებთან?

მე მოვაგონებ აღნიშნულ მუშებს, რომ მუშათა საბჭოს დადგენილებით სასტიკათ აკრძალულია ასეთ სადგურების გაფიცვა და საერთოდ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში მე შეუწყნარებლათ მიმაჩნია ყოველივე ამგვარი გაფიცვა, რადგანაც ჩვენ ყოველივე საშუალება გვაქვს მის გარეშე მოვაგვაროთ ჩვენი საქმე. ნუ თუ მუშების ინტერესს არ იცავს და არ იცავდა შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა მოძრაობას შესწირა. რამდენადაც მე შევისწავლე ამ მუშების ფსიქოლოგია, ამათ ყოველთვის პრივილეგია ჰქონდათ ტრამვაის მუშებში. ძველი მთავრობა მათ ყველაზე მაღლა აყენებდა, ამით დეზორგანიზაცია შეჰქონდა ჩვენში, მაგრამ ახალ მთავრობისთვის, დემოკრატიულ თვითმართველობისთვის ყველა ერთია. ეს ჭეშმარიტება ამ მუშებისთვის არ არსებობს და ძველებურად ჰფიქრობენ: ჩვენ რად გვინდა ამხანაგების კითხვა, როცა გვინდა გავიფიცებით, ეს ჩვენი საქმეაო. სპეციალისტები ვართ, ჩვენისთანები იშვიათად იბადებიანო და სხვა ამისთანა ილუზიებით კვებავენ თავიანთ თავს. ერთ ამ გაფიცვის გამომწვევ მიზეზთაგანათ მათი ასეთი შეხედულება უნდა ჩაითვალოს, მეორე კი ყველასთვის აშკარაა, რომ მათი მისწრაფება ჩვენ თვითმართველობას და ყველა მუშათა ორგანიზაციებს ნდობა დაუკარგონ. ეხლა მე კითხვას ვუსვამ ამ მუშებს—სცნობენ თუ არა თავიანთ შექმნილ ორგანიზაციებს და თუ სცნობენ, რა უფლება ჰქონდათ, რომ მათ დაუკითხავად გაფიცვა გამოაცხადეს მეორე—იციან თუ არა, რომ ასეთი ამ დროს გამოსვლა რას ნიშნავს; და თუ იციან, რა პასუხს იგებენ სადაც ჯერ არს? ამ ინციდენტის გამოსარკვევათ 19 ივლისს 6 საათზე მოწვეულ იქნა კრება ტრამვაის პროფესიონალურ კავშირისა და მოწინავე მუშებისა. დაესწრო 26 კაცი. კითხვის გამორკვევის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „რადგანაც ცენტრალური სადგურის მუშები გაიფიცენ პროფესიონალური კავშირის შეუტყობინებლათ და დაუკითხავათ და ამნაირი გამოსვლით ლახვარი ჩასცეს დემოკრატიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური თვალსაზრისით, კრება დაბეჯითებით მოითხოვს გამოიძებნონ დამნაშავენი ამ გაფიცვაში და დაისაჯონ ისე, როგორც მტრები დემოკრატიისა“.

ს. —ძე.

ალექსანდრე გურგენიძე

18 ივლისს თფილისში ტიფით გარდაიცვალა ალექსანდრე გურგენიძე.

განსვენებული ცნობილი იყო განსაკუთრებით ბაქოს ლიანდაგის რკინის გზის მოსამსახურეებში როგორც აჯიქაბულის ს.-დ. ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი.

ჩუმი, უწყინარი და სპეტაკი ზნეობის მქონე,—აი როგორი თვისებები ახასიათებდა განსვენებულს.

ის სად. აჯიქაბულში ტელეგრაფისტად მსახურებდა და თფილისში გადმოყვანის დიდი ხნის სურვილი, მხოლოდ ნიკოლოზ მეორის ტახტის დამხობის და მისი ჯალათის ამიერ-კავკასიის რკ. გზაზე კარგად ცნობილ ბოროვიცკის გაძევების შემდეგ შეუსრულდა. თფილისში გადმოსვლისთანავე ალექსანდრე წითელ გვარდიაში ეწერება. ცოტა ხნის შემდეგ გადადის პირველ ნომერ ჯავშნიან მატარებელზე, სადაც მიმდინარე თვის 13 რიცხვამდე დაჰყო.

13 ივლისს ავადმყოფობის გამო ალექსანდრე ჯავშნოსანს სტოვებს და ექიმები მას საავადმყოფოში ათავსებენ, სადაც 18 ივლისს სამუდამოთ დახუჭა თვალები.

ტკბილათ განისვენე ძვირფასო ამხანაგო ალექსანდრე. შენი სპეტაკი პიროვნება და საერთო საქმისადმი თავდადება დიდხანს იქნება მანათობელ ლამპრად ჩვენთვის.

შენი სახელი და ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ამხანაგების გულში.

ქ. მწვანეყვავილელი.

სტუდენტ ვალიკო სალუქძის ხსოვნას

დღეს, 25 ივლისს უკანასკნელათ უნდა გამოვეთხოვო ჩემო ძვირფასო ბიძიკო შენს გაციებულ სხეულს.

მერე, ეს იყო შენი იმედები, შენი დაპირებანი?

აგრე უდროვოთ უნდა გელალატნა შენი მოხუცებული დედმამისთვის, რომელსაც ერთად-ერთი ყავდი და შენზე ამყარებდა ყოველივე იმედებს?! ერთიც შენი ძმა გრიშა მე 6 კლასის გიმნაზიელი ჯერ ხომ ექვსი თვეც არ არის, რაც მოგვშორდა!

ნუ თუ იმის სიყვარულმა ჩვენი თავიც შეგვაძულა და მიტომ მოგვშორდი?

ან რათ უღალატე შენს ერთად-ერთს წმინდათა წმინდას,—პარტიას, რომლის ერთგულ წევრათ ითვლებოდა და თანამშრომლობდა „ერთობაში“ „შრომისშვილის“ ფსევდონიმით. ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცები კარგათ იცნობენ შენს პიროვნებას!

მშვიდობით ჩემო ბიძიკო ვალიკო.. გულ მოკლული შენი ბიძა შენის დაკარგვით, გვირგვინის ნაცვლათ ჩემს წვლილს ხუთ თუმანს ვსწირავ ს. დ. პარტიას შენის ხსოვნის ალსანიშნავად *).

ნოე სალუქვაძე.

სასოფლო კომისიაში

დუშეთის მაზრა. როგორც დუშეთიდან ჩამოსული ამხანაგი სასოფლო კომისიას ატყობინებს, იქ მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება. ხალხი დარწმუნებულა, რომ მთავრობას ძალ-უძს ანარქიასთან ბრძოლის წარმოება და მოითხოვს იდეიურ ხელმძღვანელებს, რათა მას საშუალება ჰქონდეს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაში გაერკვეს და არ წამოეგოს პროვოკატორების და სხვა ბნელი ელემენტების ანკესზე. გვარდიელები დადიან სოფლებში და უხსნიან გლეხებს ჩვენი მთავრობისა და გვარდიის დანიშნულებას. ეს ხალხზე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ასე რომ, იმედი უნდა ვიქონიოთ ბურუსში გახვეული გლეხობა მალე შეიგნებს ვინაა მისი მტერი და ვინ მოყვარე.

გორის მაზრა. ხვცისის საზოგადოებიდან ჩამოსული ამხანაგი გვატყობინებს, რომ იქ გლეხები გვარდიელებზე ძალიან ცუდი შეხედულების არიან. „ბალშევიკები“ ავრცელებენ გვარდიაზე სხვა და სხვა ხმებს, მაგ., თუ აქ გვარდიელები მოვიდნენ, პირში ლაგამს ამოგდებენ და ზურგზე დაგაჯდებიანო,—ელაპარაკებიან გლეხებს. მთელი საზოგადოება აფორიაქებული ყოფილა ყაჩაღებისაგან, რომლებიც თავის თავს ბოლშევიკებს უწოდებენ. 21 ივლისს ხაშურის მრავალ რიცხოვან კრებას მოუსმენია რა ი. წერეთლის მოხსენება, თანხმობა გამოუცხადებია მიწების გამოსყიდვის შესახებ, ოღონდ ეს მიწები კი კერძო საკუთრებათ გადავიდეს გლეხთა ხელში.

თფილისის მაზრა. როგორც თონეთის მდგომარეობის შესახებ გადმოგვცემს იქ მომუშავე ამხანაგი. საზოგადოთ მანგლისის რაიონში პირობები ძალიან ცუდი ყოფილა. მთელი ხალხი შეიარაღებულია და ამ რამდენიმე კვირის წინეთ იქაურ ბრბოებს განზრახვაც ჰქონიათ თფილისის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლათ. ასე რომ, მთავრობის ყურადღება საჩქაროთ უნდა იქნეს აქეთ მიქცეული და ყოველი ღონე უნდა იხმაროს წესიერების აღსადგენათ.

სასოფლო კომისია აგზავნის სიღნაღის მაზრაში თავის წარმომადგენელს.

დახმარება ლტოლვილთ

მოქალაქენო! აქ, ჩვენი ქალაქის განაპირა უბნებში სცხოვრობს რამოდენიმე ათი ათასი ლტოლვილი, რომლებიც იღუპებიან სიმშილისა და წყურვილისაგან,

წავიდა ის დრო, როდესაც სიტყვები „სიმშილისაგან გარდაიცვალა“ იყო მხოლოდ მაგარი ფრაზა; ეხლა ეს შავი სიტყვები ჩაწერილია ექიმების მოწმობებში.

საზარელი, აუტანელი ფაქტია ჩვენ წინაშე: ჩვენ გვერდით. ჩვენი კაფეების, ბაღების, ხილის დუქნების ახლოს კვდებიან სიმშილისა და ხოლერისაგან.

აქეთ გადმოხვეწილთ, რომ თავი დაეღწიათ უბედურებისაგან, სიკვდილისა და ტანჯვისაგან; სახელმწ. აკეთებდა, რამდენიც შეეძლო. რამოდენიმე თვეები ლტოლვილნი იკვებებოდნენ და სარგებლობდენ სახლებით და სანიტარულ დახმარებით.

მაგრამ ეხლა საშუალებანი გამოილია. საჭიროა თქვენი დახმარება მოქალაქენო. დაღლილ-დამშეული ლტოლვილები გიშვერენ თქვენ ხელებს საშველად.

დედები ითხოვენ ლუკმა პურს.

ბავშვები იხოცებიან სიმშილისა და ავადმყოფობისაგან.

მოზრდილებს ხოლერა სპობს ადვილად.

ხოლერა მთელ ქალაქს ედება.

მოქალაქენო,— ეს ლტოლვილთა უბედურება შეიძლება მალე მთელი ქალაქის უბედურებად გადაიქცეს.

ხოლერა—ყველაზე დაუნდობელი მტერია მძიმე სამუშაო—ბრძოლა სიმშილისა ავადმყოფობის წინააღმდეგ—იტვირთეს ქალაქის თვითმართველობამ და ეროვნულმა ორგანიზაციებმა.

მათ მიერ დაარსებული თათბირი ლტოლვილთა საქმეებზე ჰმართავს ლტოლვილთა დღეს სამშაბათს, ივლისის 30-ს.

სულ თფილისში გაჭივრებული ლტოლვილია 25 ათასი სული. თითოეულის გამოკვებას სჭირდება: ნახ. გ. პური, 4 მისხ. შაქარი, ნახ. მისხ. ჩაი, ერთი თეფში ხორცის წვენი ან ლობიო, ასეთი მცირე კერძი ჯდება 2 მანეთამდე. მაშასადამე, დღეში საჭმელად საჭიროა 40—50 ათასამდე მანეთი, სხვა ხარჯებს გარდა,

მოქალაქენო, რა მოსაზრებითაც არ უნდა შესწიროთ, შემოიტანეთ შემოწირულება.

თათბირი სთხოვს ყველა მონაწილეთ ფინჯან ჩაისა. კაფესი, თეატრებისა, ბაღებისა და ცირკებისა, მოახდინონ ფულის შეკრება ლტოლვილთა დასახმარებლად.

თავმჯდ. თათბირისა: ბუკშტეინი.

წევრები: ექ. ე. ლ. პესისი, ექ. ვერდიანი, ა. იონისიანი, ლოზინო-ლოზინსკი.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ თანახმად ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული კანონისა, 1 აგვისტოდან იხსნება კურსები სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად შემდეგ ადგილებში: თფილისში, გორში, თელავში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

კურსებზე დასწრების უფლება აქვთ: 1) იმათ, რომელნიც დროებით მასწავლებელთა მოვალეობას ასრულებენ, ხოლო შესაფერი წოდება არ მოეპოვებოდათ; 2) იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ შემდეგში იმასწავლებლონ სახალხო სკოლაში, მაგრამ შესაფერი წოდება ამისთვის ჯერ არა აქვთ. ამ პირთა შორის კურსებზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, რომელთაც განათლების ცენზი აქვთ არა-ნაკლებ ოთხ-კლასიან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისა. ზემოაღნიშნულ პირთ მთავრობისაგან მიეცემათ ყოველ თვიურად განსაზღვრული დახმარება. თუ თავისუფალი ადგილები დარჩება, ამ კურსებზე დასწრების უფლება ეძლევათ იმ მასწავლებელთაც, რომელნიც უკვე ითვლებიან სამსახურში და სათანადო უფლებაც მოეპოვებათ.

კურსებზე ჩაწერა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება: 1) თფილისში: სახალხო სკოლების დირექციაში, კურსების ხელმძღვანელ ბ. შიუკაშვილთან; 2) გორში: სამასწავლებლო სემინარიაში, კურსების ხელმძღვანელ ვ. ჯაფარიძესთან; 3) თელავში: უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში ხელმძღვანელ ივ. გომელაურთან; 4) ქუთაისში: სახალხო სკოლების მე-2 რაიონის ინსპექტორ მ. გავაშელთან. ხოლო ზუგდიდში ინსპ. პავლე ნადირაძესთან.

გურიის ამბები

ოსმალეთის ახლო მეზობლობა დიდ შიშსა და საგონებელში აგდებს გურიის განაპირა მცხოვრებთ და აგრეთვე ხშირათ ამწვავებს მდგომარეობას მათსა და ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს შორის. ლიხაურის საზოგადოება მდებარეობს ეხლანდელ საზღვრის—მდ. ჩოლოქის აქეთა მხარეს, რაც დასახლებულია (ს. აჭი, ქაქუთი და ნაცხავატევი) ქართველი მაჰმადიანებით; ჩოლოქის გაღმა მხარეს იწყება ქობულეთის სოფლები. წინანდელი მეზობლური კავშირი, რაც ამათ შორის არსებობდა, ომის შემდეგ დაირღვა; არა თუ საზღვარს იქითა მხარეს მცხოვრებლებში, ჩვენს ტერიტორიაზე მყოფ ქართველ მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორისაც-კი დაიბადა საშინელი გაუგებრობა და მტრულად დაუწყეს ცქერა ერთმანეთს. ეს მოყვა ორი აჭიელი ქართველი მაჰმადიანის მოკვლას, რაც მოხდა ოზურგეთიდან ოსმალთა ჯარის გასვლის შემდეგ. ამაზე აჭიელებმა წერილობითი „ულტიმატიუმი“ წარმოუდგინეს ოზურგეთის მთავრობასა და ლიხაურელებს—მოგვეცით ისინი, თორემ ცუდ მეზობლობას გაგიწევთო. შემდეგ კიდევ ხშირი იყო გაუგებრობა, რაც შურსა და მტრობას ბადებდა ორ მომძეს შორის, მაგალითად, მდ. ჩოლოქს გაღმიდან გამოვიდა ხარები, ეგონათ განზრახვით გამოყვანილი იყო და ოსმალთა ჯარის აფიცრის საშვალებით ოფიციალურად მოითხოვეს. ყველა ასეთი გაუგებრობისა და ურთიერთის შორის არსებულ შიშით უნდა აიხსნას ის რომ, ამბობენ, აჭისა და ნაცხავატევის ქართველმა მაჰმადიანებმა ოსმალებს სთხოვეს—ჯარი ს. აჭში დააყენეთ და ჩვენც თქვენსკენ გადაგვიყვანეთო. არ ვიცი, რამდენათ მართალია ეს, მხოლოდ ის კი ფაქტია, რომ ამ რამდენიმე კვირის წინ ოსმალეთმა სადარაჯოები მართლა აჭში მოაწყო და კარგა მოზრდილი ტერიტორია თავისკენ გადაიტია. ამან დიდი შიში გამოიწვია მცხოვრებლებში, ბევრი კიდეც გაიხიზნა. მაგრამ მდგომარეობა ადრე გამოირკვა. ჩვენი სამხედრო მთავრობის მოთხოვნის თანახმად დაინიშნა ორთავეს მხრით კომისია, რომელმაც საზღვარი აღნიშნა და ოსმალოებმაც სადარაჯოები თავის ადგილზე გადაიტანეს.

არა ნაკლებ გაუგებრობასა და არასასურველ ინციდენტს ჰქონდა ადგილი აგარაკ ნაფოცხვარაზე. იქ სდგას მე-4 პოლკის ნაწილი და იცავს საზღვარს „ჩეტნიკებისაგან“. პირველ დღეებში ჯარს შეტაკება მოუხდა აჭარელ „ჩეტნიკებთან“, რომლებმაც ჩვენს მწყემსებს საქონელი წაართვეს, ზოგიერთი ჩვენების მოქმედებაც არ იყო სასურველიო ამბობენ, მაგრამ აქაც ინციდენტი გამოირკვა—მოხდა შეთანხმება და დღეს აჭარელი მწყემსებიც სარგებლობენ მთით საერთო საბაჟო საფუძველზე.

ლიხაურში კი ამ დღეებში მეტად სასიამოვნო მოვლენას ჰქონდა ადგილი; შეგნებული ლიხაურელების ინიციატივით შესდგა საჯარო შეერთებული კრება ადგილობრივ ქართველ-მაჰმადიანებსა და ლიხაურელებისა, რომელზედაც მოხდა შეთანხმება-შერიგება ამ ორ მოძმეთა და კარის მეზობელთა შორის და მას შემდეგ დღემდე დამფრთხალი აჭიელ-ნაცხაკატლებიც გამოდიან თავის (ლიხაურში) „კანცელარიაზე“ და აგრეთვე ქ. ოზურგეთშიაც. ისინი ირწმუნებიან, რომ მათ არავითარი წილი არ მიუძღვის ოზურგეთის დარბევაში და თუ ასეთი ვინმე აღმოჩნდა მათ შორის, დაუყონებლივ ჩამოართმევენ განძარცვ ნივთებს და პატრონებს გადასცემენ.

— სარწმუნო ცნობების თანახმათ, ოსმალეთის ის ჯარები, რომლებიც გურიის მოსაზღვრე სოფლებში—ლილვაში, წყავროკაში, ალმბარში, ხუცუბნში და სხვაგან იდგა, სადღაც გაუგზავნიათ.

— ამ დღეებში აქედან კიდევ წავიდა რამდენიმე კაცისაგან შემდგარი რაზმი ლეჩხუმში იქ მებრძოლ გურულ რაზმთან შესაერთებლათ. რაზმს ხელმძღვანელობს პოლკ. ინწკვირელი და ახლავს გამოცდილი და მებრძოლი აფიცრები.

— საერობო არჩევნების მზადება გურიაში სწარმოებს. სამაზრო საარჩევნო კომიტეტმა მაზრა 3 საარჩევნო ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის ოლქათ დაყო. მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით—ოზურგეთის ოლქს ხვდა 7 ხმოსანი, ლანჩხუთს 9 და ჩოხატაურს 9. ქალაქი ოზურგეთი წესდების ძალით ირჩევს 2 ხმოსანს. სამაზრო საერობო კომიტეტი შუამდგომლობს მთავარ ინსტრუქტორთან, რომ ქ ლანჩხუთსაც მიეცეს კიდევ 1 ხმოსნის არჩევის უფლება.

ხუსეინ.

წერილი ექიმის თანაშემწეთა მიმართ

ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოება ამ უკანასკნელ ორი სამი კვირის განმავლობაში თავის საზოგადო სხდომებზე იხილავს ექიმ ვირსალაძის მიერ წარდგენილ მოხსენებას „ძირითადი დებულებანი საექიმო სასანიტარო მოწყობილების საქართველოში“. მოხსენებამ ექიმთა შორის დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მის მოხსენების შემდეგ ამ საგანზე რამდენიმე წერილი იყო გაზეთებში დაბეჭდილი და უკანასკნელად ქართველ ექიმთა ერთმა ჯგუფმა მოათავსა გაზ. „ერთობაში“ თავის დებულებანი. საკითხი ფრიად საინტერესოა და თხოულობს ღრმად დაკვირვებას და ყოველ მხრით გაშუქებას.

ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომნი ექიმის თანაშემწენი მხარს ვერ აუქცევთ ამ საკითხს და ვალდებულნი ვართ ჩვენც გავეცნოთ ამ საკითხს, ვინაიდგან ჩვენც ვემსახურებით საექიმო დარგს და ჩვენთვის სულ ერთი არ იქნება— როგორ იქნება დაყენებული საექიმო სასანიტარო საქმე ჩვენ ქვეყანაში.

კავკასიის ექიმის თანაშემწეთა საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა მოიწვიოს საერთო კრება თბილისში და ახლო მახლო მცხოვრებ ამხანაგებისა და ამ კრებაზე განიხილოს ეს საკითხი. რასაკვირველია თავის დასკვნას საზოგადოება წარუდგენს მთავრობას თუ მოითხოვს გარემოება. პირველი სხდომა არის დანიშნული ქალაქის ცენტრალურ სამკურნალო შენობაში (პუშკინის ქუჩა № 8) 4 საათზე 25 ივლისს 1918 წ. ცალკე მოსაწვევი ბარათები არ დაიგზავნება ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაესწრონ.

გამგეობის თავმჯდომარე ალ. კოვლელაშვილი.

შავი ზღვ პირის ფრონტზე

19 ივნისიდან [illegible] ძალებს ახალი [illegible] ტა და ახალი [illegible] ჩაღდა ბრძოლა. [illegible] დიდ ძალა იყო. აფხაზები, სომხები და რუსების საგრძნობი ნაწილი შეიარაღებული ბალშევიკურ ბრბოებს ამოუდგა გვერდში. ამ რიგათ, რამოდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი მტრის ბანაკში. ბალშევიკები პირდაპირ თფილისზე მოდიოდენ და ფიქრობდენ მის მალე აღებას. თფილისის ალმ. კომიტეტის საგანგებო რაზმი, რომელიც, როგორც ერთეული, დაშალა გუდაუთის ბრძოლამ. პორუჩიკ ლლონტის ხელმძღვანელობით, განკარგულების თანახმათ, უნდა დარჩენილიყო ქ. სოხუმში წესიერების დასაცავად. მთლად რაზმში მოიყარა თავი 30—35 კაცმა. დანარჩენები ტყვეთ ჩაუვარდა ბალშევიკებს ხელში და ზოგიც დაიხოცა. ამ მცირე ჯგუფმა მოაწყო კრება და ერთხმათ გადაწყვიტა, რომ არ დარჩეს სოხუმში და წავიდეს ჩვენი ჯარების წინ ბრძოლაში. მისი მიზანი იყო ან დაცემა ბრძოლის ველზე უსწორო ბრძოლაში, ან ტყვეების განთავისუფლება. მეტად მწარე საგონებელში აგდებდა ჩვენს ამხანაგებს ის გარემოება, რომ გუდაუთის შტაბში საგანგებო რაზმის კანცელარიის ქაღალდები გაუნადგურებელი დარჩა, რაც გააგებინებდა მტერს ვინ იყო ტყვეთ ჩავარდნილები და ამ უკანასკნელებს აუცილებლივ დახვრეტა მოელოდა. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ რაზმელებს სიკვდილით დასჯიდენ. საშინელი იყო სულისკვეთება, როგორც რაზმის უფროსის, ისე რაზმელების. რევოლიუციონურმა შურისძიებამ გაიღვიძა მათში და არავითარი საშუალების წინაშე არ შეჩერდებოდა, რომ გაენთავისუფლებია ტყვეთ ჩავარდნილი ამხანაგები. „ამხანაგებო! ჩვენ წინ წავიდეთ ბალშევიკურ „ბანდებთან“ ბრძოლაში და ვიხსნათ ჩვენი ამხანაგები, რომლებიც მტერს ჰყავს დატყვევებული. თუ ისინი ცოცხალი არ დაგვხვდება, მათი საფლავები მაინც ვნახოთ და შესაფერი პატივი ვსცეთ ბრძოლაში დაღუპულ გმირებსო“,—სთქვა რაზმის ხელმძღვანელმა. ამ სიტყვებზე შურის ძიებით აინთო კრება, ცრემლმორეული ფიცი დასდო დაღუპულ ამხანაგების წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მათ გამოსახსნელათ და უსიტყვოთ დაიშალა. გადაწყვეტილება რაზმის ემცნო გენერალ მაზნიაშვილს და მან ნება დაგვრთო ჩვენ პოზიციაზე წავეყვანეთ. ჩასვლისათანავე მოწინავე პოზიციებზე გაიგზავნა რაზმი. საღამოს საგანგებო რაზმმა ივერიის მთა დაიკავა და გამაგრდა. ეს ყველაზე უმაღლესი მთა არის ათონის მონასტერში. ეს მთა საუკეთესო დასათვალიერებელი პუნქტია მტრის პოზიციისა.

მეორე დღეს ჩვენმა ჯარებმა შეტევა დაიწყო და მტერი დაამარცხა. ორ დღეს ჯარები დასასვენებლად გუდაუთში გაჩერდა. აქედან ჩვენი რაზმი გაუშვეს ჯარების წინ „დამკვრელ რაზმად“. მტერი მდინარე მზიბზე იყო გამაგრებული. ეს მდინარე 45 ვერსით არის დაშორებული გუდაუთიდან. მდინარე მოზრდილ[illegible]ა და დიდრონ კლდეებიდან გამოდის. ამბობდენ, რომ ხიდი აფეთქეს ბალშევიკებმა და გაღმა ნაპირზე გა[illegible]რდენო. მაგრამ ეს ხმები შემდეგ არ გამართლდა.

ღამის 3 საათზე მიუახლოვდით მდ. მზიბს. რამდენიმეჯერ გავი[illegible], მაგრამ მტრის მხრიდან პასუხი [illegible] მივიღეთ. დილას ადრე აფხაზების [illegible] სროლა აუტეხა მტერს. პირველათ წავედით დასახმარებლათ ჩვენი რაზმი, რიცხვით 30 კაცი. პორუჩიკ ლლონტის მეთაურობით. რაზმი გაჰყვა გზას და ხიდთან 50 საჟენზე მივიდა.

ჩვენი მხრიდან კლდეები აადვილებდა ხიდთან მისვლას ახლოს. ორივე მხრით სროლაა. რაზმი ჯერ ათვალიერებს ადგილებს და მდგომარეობას უყურებს. სროლაში არ ღებულობს მონაწილეობას, 10 წუთის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ მტრებს იქ დიდი ძალა არ ყავდა. იმავე წამს გავიშალენით. ხიდთან ატყდა საშინელი სროლა. ჩვენმა ტყვიისმფრქვეველებმა გააჩაღა ცეცხლი და საშუალება მისცა რაზმელებს წინ წაწეულიყვნენ. 15 წუთის ბრძოლის შემდეგ მტერი დამარცხდა. რაზმი ხიდს გაღმა გავიდა და მეტათ დიდი ბუნებრივი სიმაგრე აიღო, სადაც 5 კაცი რამოდენიმე ას კაცს გაუმაგრდებოდა და დაამარცხებს. [illegible] კაცი მოვკალით ხიდთან, ერთი მძიმეთ დავჭერით, ერთი ტყვეთ წამოვიყვანეთ. დანარჩენებმა მოასწრეს გაქცევა. ჩვენი მხრით [illegible] არ ყოფილა, ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ათეული თოფი [illegible] პატრონებით, წავართვით მტერს „წითელი არმიის“ დროშა, 30 ფუთამდე გამომცხვარი პური და სხვა.

გაქცეულმა ბალშევიკ-ჯარისკაცებმა უკან დააბრუნა ჯარი, არტილერია რომელიც მოდიოდა მდ. მზიბთან და თითონ გაემართენ გაგრისაკენ. ჩვენ აფხაზების კავალერიასთან ერთად დავედევნეთ მათ და საღამოს ექვს საათზე გაგრა ავიღეთ. სამწუხაროთ აქ არ დაგვხვდა ჩვენი ტყვეები. ისინი სოჭში წაეყვანათ. მეტად დიდი იყო აღფრთოვანება ხალ-

---

*) საოლქო კომიტეტმა ს. დ. მ. პ. ხუთი თუმანი მიიღო. რედ.

ხისა როცა ჩვენ ქალაქში შევედით. გაგარიდან მეორე დღეს გვინდოდა გავდევნებოდით მტერს, მაგრამ მოულოდნელათ სოხუმში დაგვაბრუნეს კოდორში ოსმალეთის მიერ გადმოსხმულ დესანტის წინააღმდეგ. ორ სამ დღეში კოდორში იარაღი აეყარა დაუპატიჟებელ სტუმრებს და ჩვენი მცირე რიცხოვანი რაზმი პორუჩიკ ნოვიკოვმა გადაიყვანა გაგრაში, ქალაქში წესიერების დასაცველათ ჩვენ ვითხოვეთ წინ წასვლა. გვსურდა ჩვენი ღვიძლი ამხანაგებისათვის სოჩში ჩვენივე ხელით გაგველო ციხის კარები, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო იქით ვეღარ გაგვგზავნეს და სოჩის აღებამდის ქ. გაგრაში ვიმყოფებოდით. 9 ივლისს ჩვენი ამხანაგები უკლებლათ დაბრუნდენ სოჩიდან გაგრაში. დიდი იყო საგანგებო რაზმის სიხარული ამ დღეს. უსწორო ბრძოლაში დაცემული რევოლიუციონური რაზმი კვლავ აღსდგა და გამრთელდა. მძვინვარე გარეშე მტერთან შეტაკებამ ჩოლოქზე ვერ დასცა და გააქრო ეს მედგარი რაზმი. გუდაუთის ბრძოლის ცეცხლსაც გადაურჩა იგი და კვლავ მზათ არის ყოველ მხრით, ებრძოლოს რევოლიუციის მტრებს.

პრომეთეოსი.

მცირე განმარტება

(ს. ცხემლის დღის წერილის გამო).

„ერთობის" მე-148 № ში მოთავსებული ს. ცხემლისხიდელის წერილი თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა კრების გამო, სადაც ავტორი წერილისა სისწორით ვერ გადასცემს მკითხველებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

ამიტომ ჩვენ პირდაპირ მოვალეობათ ვთვლი, როგორც მდივანი კავშირისა, ვაუწყო მკითხველებს საქმის ნამდვილი ვითარება.

ს. ცხემლისხიდელს რომ დაუჯეროთ, ტარიფის გადიდებით მარტო გამგეობა, რუს-სომეხთა ბლოკი და ორიოდე გადაგვარებული ქართველი მუშები (რომელთა შორის მეც მგულისხმობს ს. ცხემლისხიდელი, რადგან მე ვიყავი მომხსენებელი გამგეობის მხრით და მეც ვთვლიდი საჭიროთ ტარიფის გადიდებას დღევანდელი პირობების გამო) იყვნენ დაინტერესებულნი და ქართველი მუშების დიდი უმრავლესობა კი წინააღმდეგი, თითქოს გამგეობა და ის ამხანაგები, რომელნიც ტარიფის გადიდების მომხრენი იყვნენ არავითარ ანგარიშს არ უწევენ შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და მრეწველობას და მხოლოდ ს. ცხემლისხიდელს და ორიოდე მის ამხანაგს აინტერესებდეს საქართველოს რესპუბლიკის და მისი მრეწველობის ბედ იღბალი.

რამდენად მართალია ამაში ს. ცხემლისხიდელი დავინახავთ შემდეგიდან:

არავითარი ბლოკი რუს-სომეხთა და ორიოდე „გადაგვარებულ" ქართველ მუშათა შორის არ ყოფილა და არც არის ჯერ-ჯერობით. გამგეობაში შედის მხოლოდ ერთი სომეხი ხარაზიანი, რომელიც არ იმყოფებოდა თფილისში და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ტარიფის გარჩევის კითხვაში, მაშასადამე, საიდან შეიძლებოდა ბლოკი სომხებთან.

ს. ცხემლისხიდელი ამბობს: „ამ შეხედულების წინააღმდეგ სამართლიანათ გავილაშქრეთ ერთმა ჯგუფმა ქართველი ამხანაგებისამო": რაში გამოიხატა ეს გალაშქრება და რომელი ჯგუფი იყო წინააღმდეგი ხელფასის გადიდებისა? რომელი ჯგუფი ამბობდა უარს მომატებაზე? ნუ თუ ს. ვადაჭკორიას წინადადება, რომელიც მოითხოვდა ყველასათვის 50 პროც. დროებით ჯამაგირის გადიდებას უარის ყოფაა ჯამაგირების მომატებისა? ეს ხომ კიდევაც მეტი არის, რადგან გამგეობის პროექტით 40—50 პროც. ემატებოდა ჯამაგირებს და ს. ვადაჭკორია კი, როგორც ხედავთ, უფრო შორს მიდიოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ს. ვადაჭკორია ამას დროებითს უწოდებდა (გამგეობის პროექტით კი საუკუნო იყო?). სანამ სანოვაგე გაიაფდებაო; სად არის აქ, ცხემლისხიდელო, ჯამაგირების გადიდების უარის ყოფა და ან წარმოებისთვის ანგარიშის გაწევა? სად არის აქ თქვენი ლოღიკა? თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ მწარმოებლისთვის სულ ერთი არის თუ კი მისი ჯიბიდან ამოვა ეს ფული—დაერქმევა ამას დროებითი, თუ სხვა სახელი.

ს. ცხემლისხიდელის სიტყვით პროექტის ავტორნი დაინტერესებულნი არიან რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ მწარმოებლებს და თითქოს ხელოვნურად შექმნილი იყოს ხელფასის მომატების აუცილებლობა და აქვე ითვისებს ჩვენს აზრს, რომ ჯამაგირების მომატებით ვერ უზრუნველყოფთ მუშების მდგომარეობას და მით მუშები ვერ დაეწევიან იმ საშინელ სიძვირეს, რომელიც საათობით იზრდებაო. პირველათ ეს აზრი გამოთქვა ჩემს მოხსენებაში გამგეობის პირველ სხდომაზე ამ კითხვის გარჩევის დროს, სადაც მოვუწოდებდი გამგეობას დროებით გადაედო კითხვის გარჩევა ტარიფის გადიდებისა და გადაედგა ნაბიჯი სასურსათო საქმის გაუმჯობესებისაკენ. გამგეობის სხვა წევრებიც, როგორც ქართველები, ისე რუსები, დამეთანხმენ ამაში და ამისი პირველი სხდომის ანგარიში და რეზოლიუცია მოთავსებული იყო გაზეთ „ბორბის" ფურცლებზე. გამგეობამ მიმართა აგრეთვე ყველა პროფესიონალურ კავშირებს და კავშირთა კავშირს გაერჩიათ სასურსათო საკითხი და მიეღოთ ზომები სასურსათო საქმის გასაუმჯობესებლად.

ამიტომ თქვენი ბრალდება, თითქოს გამგეობა მარტო წაგლეჯისთვის იყოს დაინტერესებული, სიმართლეს არ შეეფერება და ცილის წამებაა, რადგან თქვენ კარგად იცოდით თუ როგორი სიფრთხილით ეკიდებოდა გამგეობა ამ საკითხს და როგორ შეეცადა ის, რომ თავიდან აეცილებინა ტარიფის გადიდება.

მაგრამ როდესაც დაინახა გამგეობამ, რომ ის მარტო უძლური გამოდგა და მას არ ძალუძს გარდ ჰქმნას და გააუმჯობესოს სასურსათო საქმე, მეტი რაღა დარჩენოდა თუ ისევ ძველი, თუმცა არა სასურველი ზომებისთვის არ მიემართა და გამოსავალი მოენახა.

არ შემძლია არ აღვნიშნო კიდევ შემდეგი: ს. ცხემლისხიდელის წერილიდან მკითხველი დაასკვნის რომ თვით ცხემლისხიდელი და მისი ამხანაგები წინააღმდეგნი იყვნენ ტარიფის გადიდებისა, და ის წინადადება, რომელსაც ის მხარს უჭერს, შედეგი იყოს კრებაზე გამორკვეულ ძალთა განწყობილებისა, ე. ი. იძულებითი. მაგრამ ასეთი დასკვნა შეცდომა იქნებოდა. პირველად სწორედ იმ ჯგუფიდან მესმა მე საჩივარი ტარიფის გადიდების აუცილებლობისა და თუ არ ვცდები ერთი მათგანი ს. ცხემლისხიდელიც იყო, რომლებმაც შემომჩივლეს: „რას შვებით კაცო, კავშირში ხომ არ გძინავთ, მალე მოუმატეთ ტარიფს, თორემ ჩვენ უკვე მორიგებული ვართ მომატებაზე—ორას მანეთს გვიმატებს რედაქციაო". და თუ ახლა თავს იკატუნებენ, ეს მათ ფარისევლობას მიეწერება. ჯამაგირების მომატება უნდათ, მაგრამ მიზეზი სხვას უნდათ მოახვიონ თავზე.

დასასრულ არას ვიტყვი თუ რას ფიქრობს, გულში რა აქვს და ან რას ამბობს ზოგი რუსი და სომეხი მუშები საქართველოს რესპუბლიკაზე, მაგრამ ს. ცხემლისხიდელის რჩევით, რომ ყველა ერთ ფიცარზე დავსვათ და როგორც „მოსულების" ახლავე შევუდგეთ მათ „გარეკას", არა მგონია, ამ ზომებმა არა თუ კავშირს, საქართველოს რესპუბლიკას სარგებლობა მოუტანოს.

საჭიროა მწყობრი, შეთანხმებული და დაფიქრებული მუშაობა ყველა ერების მუშებისა, საითკენაც უნდა მოვუწოდებდეთ მათ, და არა მათი დაქსაქსვა.

კავშირის მდივანი

ს. დობორჯგინიძე.

ჯარის-კაცის წერილები

ჩოლოქიდან ჩვენ გავემგზავრეთ ტყუბულისკენ ანარქისტებთან საბრძოლველათ. მეორე პოლკის მესამე ბათალიონის ჯარისკაცები 10—11—12 როტა. ნაწილი ჩვენი ჯარისა დარჩა გელათში, მე 11 როტა კი სადგურ ხრესილში წავიდა. აქ გვეწვია გენერალი სუმბათაშვილი, რომელმაც ბრძანება მოგვცა წავსულიყავით სოფელ ოჯოლაში. როგორც ამბობდენ, იმ სოფელში იყო ბუდე ყაჩაღ მორჩაძის და მისი რაზმისა. ჩვენი როტა ხელათვე გაემგზავრა პრაპ გოგიას მეთაურობით. თან წავიღეთ ტყვიისმფრქვეველი. მივედით სოფ. მანდიკორში იქ გავჩხრიკეთ მორჩაძის სახლი, სადაც ვნახეთ ცოტაოდენი იარაღი. იქიდან ჩვენ გავემგზავრეთ სოფ ჯვარისაში; ღამის 2 საათზე ჩვენ მზვერავებს ბრბომ სროლა აუტეხა. მზვერავებმა სროლითვე უპასუხა და მალე ჩავაჩუმეთ. გათენებისას გავიგეთ, რომ იქ „პოსტი" ჰქონდათ, „პოსტი" დაეტოვებიათ და გაქცეულიყვნენ. დარჩენოდათ თოფები, ნაბადი, მჭადი და ღვინო დოქით. მალე აქ შემოგვიერთდა მე 12-ტე როტა, ზოგიერთი იარაღის ჩამორთმევის შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ სოფ ოჯოლასკენ. ოჯოლაში შესვლისთანავე სროლა დაგვიწყეს, მაგრამ მალე გაიფანტნენ. წამოვიყვანეთ რამოდენიმე ტყვე, დავიჭირეთ მათი შტაბი. როგორც აღმოჩნდა, აქ მოუხდენიათ მობილიზაცია, მაგრამ სალდათები თოფებთან ჩვენ შემოგვიერთდა და თოფებიც ჩაგვაბარეს.

ამ სოფელში ჩვენ აუხსენით ხალხს ჩვენი მიზანი, გავაცნით მიწის საკითხი და ხალხიც მეტად მადლიერი დარჩა. ჩვენ სულ სხვა ჩაგვაგონესო—გვეუბნებოდენ.

აქ სცხოვრობს მემამულე კოტე ქელბაქიანი, რომელსაც მამული გაცემული ჰქონია სანახევროთ. ამას გარდა გლეხები მის ყანაში მუშაობენ უსასყიდლოდ. როცა შევეკითხე, რატომ უფასოთ მუშაობთ მეთქი, გვიპასუხეს: ბატონი გაისად ყანას არ დაგვანებებსო. როგორც ირკვევა, აქაურმა მემამულეებმა თვითონ მოუმზადეს ნიადაგი ანარქიას და საბაბი მისცეს აქაურ უპასუხისმგებლო პირებს შავი მოქმედებისთვის. საჭიროა გამოიგზავნონ პროპაგანდისტები და აუხსნან ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, რასაც თვით ხალხი თხოულობს.

ჯარისკაცი ვასილ აფხაზავა.

საად.-მამულო რეფორმა

ლაგოდეხის რაიონის გაღმა ალაზნის მხარეში მემამულე ვაჩნაძეების, აფხაზების და მათი მონაწილეების მამულების მიღებას შევუდგებით ამ წლის 1—10 აგვისტოდან, რაზედაც უკვე ყველას უწყებები დაეგზავნა.

შეიძლება უწყებები თავის დროზედ ვერ მიიღონ, რადგან ზოგიერთების მისამართი არ ვიცით, ამიტომ ვაუწყებთ ამ მამულის ყველა მონაწილეს, დაესწრონ.

ვინიცობაა, ვერ დაესწრობიან, ყველა მონაწილეს მიეცემა თავის ნორმა, მხოლოდ სხვაგან, ნორმას ველარ მიიღებს.

რადგანაც ეს მხარე პირველ კატეგორიათაა ცნობილი, ნორმას შეადგენს 7 დესეტინა.

სასურველია, რომ მემამულენი დაესწრონ, ვინაიდან მათ ეძლევათ უფლება საუკეთესო ნაჭრების არჩევისა.

გარდა ამისა უკვე მივიღეთ სამი სოფლის მამულები: ელისავეტოვკასი, რომანოვკასი და ალექსეევკასი, რომელიც მის სივრცეს საერთო ჯამს შეადგენს 4600 დეს.

ამ სოფლებში ცხოვრობდნენ რუსები, რომლების გადმოსახლებელმა მმართველობამ დაასახლა. ვიდრე ეს რუსები დასახლდებოდენ, სოფ. ელისავეტოვკას ადგილზედ სოფ. „ცოდნა" გაშენებული იყო და ზედ ჯუგანელები და იმერლები ესახლნენ, აგრეთვე ალექსეევკის მამულით სარგებლობდენ სოფ. შრომის და კავშირის მცხოვრებლები.

გადმოსახლებელ მმართველობას ძალმომრეობით მათ ჩამოართვეს ეს მამულები რუსებისათვის. დღეს რევოლიუციის წყალობით ეს მამულები განთავისუფლდა და ზედ ესახლებიან ისევ ძველათ აყრილნი ქართველები.

სასურველია აგრეთვე, რომ დასახლდენ მათ შორის მცოდნე მეურნენი და ინტელიგენტური ძალები, ამას მოითხოვს ახლად დასახლებული ხალხი.

ეს მხარე ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია საქართველოსი.

თავმჯდომარე მიმღებ კომისიისა დუშიკო ფალავანდიშვილი.

წევრი ალ. ხვიმონიშვილი.

ს.-დემ. პარტიაში

ქ. ახალ-სენაკი. 3 ივნისს შესდგა ახალ-სენაკის სადგურის სოც.-დ. მუშათა ორგანიზაციის კრება. დღიურ წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: 1) სამკითხველოს გახსნა, 2) საპასუხისმგებლო კორესპონდენტის არჩევა, 3) ბანქოს მოთამაშეთა წინააღმდეგ ზომის მიღება, 4) მარქსისტული ლიტერატურის შესწავლა. ზემოაღნიშნულ კითხვებზე კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი. სამკითხველოს გახსნა კრებამ ერთხმათ ცნო არა აუცილებელ საჭიროთ და იქვე იქნა 180 მანეთი შეგროვილი სახელდახელოთ, ხოლო ტექნიკურათ მისი მოგვარება დაევალა იქვე არჩეულ გამგეობას სამი კაცისაგან შემდგარს. გამგეობაში შედიან: დ. ესებუა, მ. კულუა, ს. ჩაგუგაძე. გამგეობის წევრმა დ. ესებუამ აღუთქვა სამკითხველოს 100 მ. მარქსისტული წიგნაკები, 50 მ. სურათები და თითო ყოველ დღიური გაზეთები, რომელიც კი გამოდის საქართველოს რესპუბლიკაში, მანამდე ვიდრე საკუთარი წყარო აღმოუჩნდებოდეს სამკითხველოს. საპასუხისმგებლო კორესპონდენტათ არჩეულ იქნა დ. ესებუა, როგორც ძველი მომუშავე ამავე ორგანიზაციის. მას დაევალა ორგანიზაციის საქმიანობაზე ცნობების მიწოდება სადაც ჯერ არს და აგრეთვე მისი ავი და კარგი მხარეების გაშუქება-გამომჟღავნება. ვინც დროს კარგავს ბანქოს თამაშში, კრებამ დაადგინა: განდევნილ იქნას იგი პარტიიდან და მისი სახელი და გვარი გამოცხადდეს პრესაში. რაც შეეხება მუშების პოლიტიკურათ გათვითცნობიერებას—ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მალე და კარგათ მოაწყობს გამგეობა მუშათა სამკითხველოს, საიდანაც საშუალება ექნება ამხანაგებს, გამორჩეულ მათ შორის თუ კი ვინმე არის მოწინავეთაგანი და დაყოს ისინი ჯგუფ ჯგუფათ მათის მეთაურობით.

დასელი ქალი.

პროვინცია

სამეგრელო. გვეგონა სამეგრელოს ტრაგედია დამთავრდა და გლეხობას საშვალება მიეცა თავისუფლად ამოესუნთქა. საწუხაროდ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ბოლშევიკური მოძრაობა, როგორც ასეთი, მთავრობის ჯარმა ჩააქრო. მათი სულის ჩამდგმელი და მთავარი ხელმძღვანელი ცნობილი აფერისტი საშა გეგეჭკორი იძულებული შეიქნა სამეგრელოში დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო თავისი ერთგული „ჯარით" და იქიდან განეგრძო საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა. (როგორც ვიცით მისი ლაშქარი იქაც სასტიკად დამარცხდა). სამეგრელო თითქმის გაიწმინდა „ბოლშევიკ"—ხელმძღვანელთაგან, მაგრამ აქა იქ დარჩა ზოგიერთი „მობოლშევიკო" ყოფილი ჯარისკაცები. მათ გეგეჭკორის წასვლის შემდეგ დავთარი აერიათ და გაიხიზნენ ტყე მთებში. მოინდომეს ბოლშევიკური საქმიანობის გაგრძელება. მათი მოძრაობა ამ უკანასკნელ ხანებში სულ სხვა ფორმაში ჩამოასხა. მათმა მოქმედებამ აშკარა ყაჩაღური ხასიათი მიიღო. დიდი სოფლებში ჯგუფ-ჯგუფათ (რასაკვირველია ღამით) 5 6 კაცი, ხან 10—15 კაცი და აწიოკებენ მშვიდობიან მცხოვრებთ. 16 ივლისს ს. გორდში დაეცენ დიმიტრი ჩიქოვანს, მაგრამ უკანასკნელმა სროლით უპასუხა და ერთიც მოკლა. 17 ივლისს სოფ. სალხინო და მარტვილის შუა სალხინოდან მომავალ მილიციონერებს დახვდენ და სროლა აუტეხეს. მილიციონერებმა უპასუხეს და ბანდიტები გაფანტეს. 18 ივლისს სოფ. სალხინოში შევიდენ, დაეცენ ადგილობრივ მედუქნეებს და 2000 მან. წაართვეს კონტრიბუციის სახით. 15 ივლისს სოფ. ნახუნოვოში დაეცენ ბესა სიგუას და მოთხოვეს ფული, ტანისამოსი და სხვა ავეჯეულობა, სიგუას დედამ კივილი მორთო. ყაჩაღებმა იქვე გააგორეს ტყვიით: აქ შეუძლებელია ყველა იმ ფაქტების ჩამოთვლა, რომლებსაც დღეს სამეგრელოში აქვს ადგილი. ღამე კაცი გარეთ გამოსვლას ვერ ბედავს. ყაჩაღობამ ფართე ხასიათი მიიღო. სოფლის გლეხობამ აშკარად დაინახა თუ რა ჯურის „სოციალისტებთან" აქვს საქმე და გამოფხიზლების გზას დაადგა. ახლა იქ იშვიათად დაინახავთ ისეთ გლეხს, რომელსაც სწამდეს „ბოლშევიკების საქმიანობა". მათ უკვე ნიღაბი აიხადეს და აკეთებენ იმას, რისთვისაც მოწოდებულნი არიან. ასეთი დამაღონებელი და სევდის მომგვრელი სურათები მეშლება დღეს სამეგრელოს ცხოვრებაში. როდის მოვლენ გონს ეს ვაჟბატონები?

ან—ხანი.

ხიდისთავი (გურია) 7 ივლისს შესდგა ადგილობრივი კოოპერატივის „თანხმობის" წევრთა არა ჩვეულებრივ საზოგადო კრება. სარაიონო ინსპექტორის გამოკვლევით კოოპერატივში დანაკლისი აღმოჩნდა 7 000 მან ეს უკვე იცოდა მომხმარებლებმა და დაინტერესებული დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ისიდ. ლომთათიძე, მდივნათ სიმ. შონია. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცემით მოიხსენია სარაიონო ინსტრუქტორი განსვენებული ამხ. ს. ს. რამიშვილი. განსახილველი კითხვები იყო: 1) გამგეობის მოხსენება და 2) სარევიზიო კომისიის შესახებ. გამგეობის ერთი წევრი მოხსენებას აკეთებს და აცნობს კრებას, რომ საზ. საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული; მოხსენებიდან ირკვევა, რომ ყოველგვარ უწესრიგობის გარდა, სარაიონო ინსტრუქტორის გამოკვლევით მაღაზიას საქონლის სახით აკლია 328 მ. სახარაზოს უზარალია 1800 მ. ფეტი. კასას აკლია 3038 მ.ნ. 36 კ. რაც გამგეობის აზრით ნოქარს ედებოდა 7023 მ., მაგრამ კრებაზე გამოირკვა, რომ ნოქარსა და გამგეობის ერთ წევრს შორის სადაო ყოფილა 3300 მან. და სამედიატორო სასამართლოს გამოკვლევით, რომელიც იქვე იქნა წაკითხული გამგეობის ერთი წევრიც ყოფილა შიგ. ნოქარი აცნობს კრებას, რომ გამგეობის უმოქმედობისა და სხვა მიზეზების გამო დამაკლდა საქონელი, რაზედაც თავის თავსაც დანაშავეთ აღიარებს და იქვე გამგეობის წინადადებით თავდები წამოაყენა და კიდეც გაანაღდა დანაკლისი გამოირკვა, რომ გამგეობამ და ნოქარს ცუდად წაუყვანიათ საზ. საქმე, რისთვისაც ერთხმად იქნა გადაყენებული ერთიც და მეორეც და გარდა ზარალისა ყოველგვარი დანაკლისი იქნა ანაზღაურებული. ახალ გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ლ. კალანდაძე, გ. კალანდაძე, მღვდ. ი. ქორიძე, ბ. მეგრელიძე და ბ. ლომთათიძე. კანდიდატებათ: ი მეგრელიძე, მ. მეგრელიძე და ი. ქერქაძე. კრება ადგენს: რადგან აუცილებელია ამ წლის ანგარიშების გაგება, იქნეს კრება გადადებული 14 ივლისისათვის. დაევალოს გამგეობას, როგორც ძველს ისე ახალს, სრული ანგარიშების წარმოდგენა მომავალ კრებისათვის. 14 ივლისის კრებაზე ირკვევა, რომ ამ ხნის განმავლობაში უზარალია 2000 მანეთამდის, ძველი სარევიზიო კომისიას კრება უცხადებს საყვედურს უმოქმედების გამო და ირჩევს ახალს: მ. თუდორაძეს, ი. თალაკვაძეს და ერმილე კალანდაძეს ვფიქრობთ, ახალი გამგეობა საქმეს ენერგიულად მოჰკიდებს ხელს და გაამართლებს ამრჩევლების იმედებს.

მუსტაფა.

სოფ. ნორიო (თფილისის მაზრა). ამ რამოდენიმე დღის წინათ თფილისის მაზრაში დანიშნული იყო საერობო არჩევნები. 13 ივლისს ნორიოში გამოვიდა ამხ. დ. ლორთქიფანიძეს დაუტოვებია მწერლისათვის საარჩევნო ბარათები, რომ გაგვეწია ხელმძღვანელობა არჩევნებისთვის. ყველა ეს ქაღალდები და ბარათები მივიღეთ 13 ში და 14-ში კი უნდა მოგვეხდინა არჩევნები. არ გამოგვიგზავნეს დროზე ოფიციალური ქაღალდი აღმასრულებელმა კომიტეტმა ხალხს არ მისცა სათანადო დარიგება და განმარტება და ამით ხალხი მოუმზადებელი დარჩა.

მოუმზადებელი საქმე და მოუმზადებელი ხალხი ვერ შეეგუენ ერთმანეთს და დაიშალნენ. ნორიოში არჩევნები არ შემდგარა. აქ იყო მიწების კომისია, რომელმაც შეძლებულ მემამულეებს ჩამოართვა მამულები, გარდა ბადრიძეებისა. მაგრამ აქ შესდგა მეორე კომისია ადგილობრივ კომისარის მეთაურობით, რომელმაც ჩამოართვა მამულები ბადრიძეებს. ესენი ამ სოფელში 15 კომლამდე იქნებიან, კომლზე ხვდებათ სულ სახნავი და სათიბი 1 დესეტინა ნახევარი. აქაური მღვდლებიც „ყოჩაღურათ" იქცევიან. სოფელს გაეფიცნენ, კოდ პურსა იხოულობენ, წინ გასძღოლს 30 მ. და სხვ. ამას წინათ მღ. დ. ზაუტოვმა უარი სთქვა გარდაცვალებულის დასაფლავებაზე, სანამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებდენ. ხალხმა ის სოფლიდან სამუდამოთ გააძევა.

ნიკო ბადრიძე.

სოფ. ერთაწმინდა (გორის მაზრა) 8 ივლისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გაამართეს წარმოდგენა. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. მშვენივრათ და ლაზათიანად შეასრულეს თავიანთი როლები: გაბო ჩაჩანიძემ, მ. დ ჯავრაშვილმა, ს. ა. ელისაბედაშვილმა, ს. ზ. ჩაჩანიძემ, თ. ი. ზაალიშვილმა და ა. გოთუამ. მათმა მოქმედებამ მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ბევრი ცრემლით იმდულრებოდა. ხალხი ბოლომდე დაესწრო. შეხდენილათ წაიკითხა ლექსი „სიზმარი" ს. გ. კარგარეთელმა. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაიშალა, რისთვისაც მადლობა გადაუხადეს მომწყობს ვ. ქ—ლს და წესიერების დამცველს ახალქალაქის საზოგადოების კომისარს ვ. ზარიძეს შემოსავალი იყო 117 მანეთი და 30 კ. გადასწყვიტეს ერთაწმინდას მთელი წლით გამოუწერონ გაზეთი „ერთობა". ს ერთაწმინდა მიწერილია ახალქალაქის რაიონზე. ახალქალაქის საზოგადოების კომისარად არის ვასო ზარიძე. იგი ძმაა ცნობილ მოღვაწის მიხა ზარიძესი, რომელმაც ხალხის სამსახურს შეალია თავისი სიცოცხლე. ეტყობა მისი ძმაც ენერგიულად მუშაობს და იცავს მთელი ხალხის უფლებას, რისთვისაც ყველა მადლიერია. მან თავისი სამართლიანი მოქმედებით დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. თუმცა ერთაწმინდაში გამოუჩნდენ „გაბოლშევიკებული" ზოგიერთი ჯარისკაცები და ლამობდენ მის ჩირქის მოცხებას, რაც არც ხალხს მოსწონდა, მაგრამ კომისარმა შეაგნებინა მათ თავიანთი შემცდარი აზრები და ისინიც ხალხის საერთო მეგობრებათ გახდენ. ვუსურვებთ მას უფრო ნაყოფიერ მუშაობას მთელი საზოგადოების სასარგებლოთ.

ვანო.

ცნობები

ჯარის კაცი ესტატე ივანესძე აბაკელია მსახურობდა მე 157 სამხედრო სასანიტარო ტრანსპორტში ე ტრანსპორტი ნოემბრის დამლევს 1917 წ. იდგა ენზელში (სპარსეთი). მას შემდეგ არავითარი ცნობა მის შესახებ ნათესავებმა არ იციან. ვინც იცის რამე ვსთხოვთ შეგვატყობინოს შემდეგი ადრესებით: ქ. ოჩამჩირეში ივანე სიმონისძე აბაკელიას, სენაკში თედო ქანდარის და თფილისში, საკონტროლო პალატაში ზურაბ გაგუას.

ფონდი

მივიღეთ „ერთობის" სასარგებლოდ ს. წიკლაურისაგან—10 მან. ჯ. ქ. კარილე ვადაჭკორიასაგან—3 მან.

განცხადება

თფილისის საქონლის სადგ. გაზ. „ერთობის" ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ვაცხადებთ, რომ [illegible] ების ფასი არ გადაუხდია, ვთხოვთ დაუყოვნებლივ გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა შეუწყდებათ და მათი ვინაობა გაზეთში იქნება გამოცხადებული. საჭიროა აგრეთვე ხელის მომწერლებმა 1 აგვისტოდან თვიური ფასი წინდაწინვე გადაიხადონ. (4—3) პატივისცემით საშა ჩიგოგიძე.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

კერძო

მიხეილის სამკურნალო

მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან, მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ. —10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე, დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი მ. კლდიაშვილი.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82 ტელ. № 9—26.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი ზ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ავიაცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანიშვილისა. ტელ. № 3—77.

გაიხსნა თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისტენტის

ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილით 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

ოზურგეთის სავაჟო გიმნაზიისთვის საჭიროა

გერმანული ენის მასწავლებელი

რომელმაც უნდა აიღოს რამოდენიმე გაკვეთილი რუსულ ენაშიც.

თხოვნები დოკუმენტებით მიიღება

ამ მისამართით: ქ. ოზურგეთი. გიმნაზიის გამგეს ილია ცეცხლაძეს. (3—3)

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის ქ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.